პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მარტი შაბათი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 71 (15284)

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და მეცნიერული მიღწევებისათვის, დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 24 მარტი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში, მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერებისათვის განხორციელებულ მთელ რიგ ღონისძიებათა მიუხედავად, მეცხოველეობის ეს დარგი შენელებული ტემპებით ვითარდებოდა.

ყაზახეთის სსრ, შუა აზიის რესპუბლიკების, უკრაინის სსრ სამხრეთი რაიონების, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ შემოსავალს იღებენ მეცხვარეობის პროდუქციის რეალიზაციით, მაგრამ საჭირო სახსრებს არ აბანდებენ ამ დარგის განსავითარებლად, ცხვრის სულადობა მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი სადგომებით, სუსტად არის მექანიზებული წყალმომარაგება და სხვა შრომატევადი პროცესები, საკმარისი მოცულობით არ წარმოებს მუშაობა საძოვრების პროდუქტიულობის გადიდებისა და საკვების წარმოებისათვის. ყოველივე ამის შედეგად ამ დარგის განვითარება დიდად არის დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე და არახელსაყრელ წლებში ნელდება მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპები.

დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ რა მეცხვარეობის დაჩქარებულ განვითარებას და იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გადიდდეს მატყლის, ცხვრის ხორცის, ყარაკულისა და მეცხვარეობის სხვა პროდუქციის წარმოება და გაუმჯობესდეს ხარისხი, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და დაამტკიცონ 3 თვის ვადაში ღონისძიებანი, რათა:

გადიდდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში ცხვრის სულადობა და გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყონ 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმით მატყლის, ყარაკულისა და მეცხვარეობის სხვა პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დაწესებულ დავალებათა შესრულება;

შეიქმნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხვარეობის მტკიცე საკვები ბაზა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმონ საძოვრების პროდუქტიულობის გადიდებას მათი ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების, საძოვარბრუნვის, ნაკვეთობრივი ძოვების, ბალახების შეთესვის, გაწყლოვანებისა და მრავალწლოვანი კულტურული საძოვრების ორგანიზაციის გზით, აგრეთვე საძოვრებზე უხეში და კონცენტრირებული საკვების გარდამავალი სადაზღვეო მარაგის შექმნას;

აშენდეს ტიპური საწარმოო ნაგებობანი ცხვრისათვის და განხორციელდეს შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია ფერმებში, აგრეთვე გაუმჯობესდეს მეცხვარეობის სამუშაოებზე დასაქმებულ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სპეციალისტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი მეცხვარეობაში სასელექციო-სანაშენო მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მიღებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წინადადებანი იმის შესახებ, რომ 1972-1975 წლებში ააშენონ საბჭოთა მეურნეობებში მეცხვარეობის კომპლექსურ-მექანიზებული ფერმები და გადარჩეული ყარაკულის ნერბის სასუქებელი მოედნები ყარაკულჩის მიღების მიზნით. მოკავშირე რესპუბლიკებს დაუწესდათ 1972-1975 წლებისათვის ყარაკულჩის შესყიდვის დავალება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ 1972-1975 წლებში აღნიშნული ფერმების მშენებლობის სამუშაოთა შესრულება. მეცხვარეობის კომპლექსურ-მექანიზებული ფერმებისა და სასუქებელი მოედნების მშენებლობის ხანგრძლივობა დაწესებულია არაუმეტეს ორი-სამი წლისა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ აგრეთვე განსაზღვრონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით 1972-1975 წლებისათვის კოლმეურნეობებში მეცხვარეობის კომპლექსურ-მექანიზებული ფერმების მშენებლობის სამუშაოთა მოცულობა, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ მშენებლობის განსახორციელებლად, ამასთან, კერძოდ, გაითვალისწინონ, რომ აღნიშნული ფერმების მშენებლობაში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ჩააბან სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები, აგრეთვე შეადგინონ მოწყობილობითა და მექანიზმებით მათი დაკომპლექტების წესი.

იმ მიზნით, რომ შეისწავლონ ცხვრის მოვლა-პატრონობის სხვადასხვა წესები და შეამოწმონ მეცხვარეობის მოწყობილობისა და ნაგებობათა შესაბამისი ტიპები ქვეყნის სხვადასხვა კლიმატური ზონის პირობებში, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ 1972-1976 წლებში შექმნან არსებულ მეურნეობათა ბაზაზე მეცხვარეობის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობანი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ამ დადგენილებაში გათვალისწინებული მეცხვარეობის ექსპერიმენტული საბჭოთა მეურნეობების, მეცხვარეობის კომპლექსურ-მექანიზებული ფერმებისა და სასუქებელი მოედნების მშენებლობის საპროექტო-სანუსხო დოკუმენტაციის დროულად დამზადება. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ აღნიშნული დოკუმენტაციის დამზადების კვალობაზე შექმნან მომდევნო წლის კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიებში შეტანილი ობიექტების მშენებლობის საჭირო მარაგნამეტი შესაბამისი რესპუბლიკებისათვის მიმდინარე წლის დაუმთავრებელი მშენებლობის დაწესებული მოცულობის ფარგლებში.

მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ, 1972 წლიდან მოყოლებული, ცალკეულ მეურნეობათა სპეციალიზაცია უდაბნოს, ნახევრადუდაბნოს და მთის საძოვრებისა და სათიბების გაუმჯობესებისათვის საჭირო ველური ბალახების თესლის წარმოებაზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უზრუნველყონ ამ თესლის წარმოება იმ მოცულობით, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს თვითეული რესპუბლიკის ყოველწლიურ მოთხოვნილებას. შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსთან შეთანხმებით 3 თვის ვადაში დაამტკიცონ უდაბნოს, ნახევრადუდაბნოს და მთის საძოვრებისა და სათიბების გაუმჯობესებისათვის საჭირო ველური საკვები მცენარეებისა და ბალახების თესლის შესასყიდი ფასები.

სამომთაბარო საძოვრებზე საკვების სადაზღვეო მარაგის შექმნისა და ბაგური კვების პერიოდში ცხვრის კვების მექანიზაციის პირობების უზრუნველყოფის მიზნით მოკავშირე რესპუბლიკებს 1972-1975 წლებისათვის დაუმტკიცდათ კონცენტრირებული საკვებით, ვიტამინიანი ბალახის ფქვილითა და მინერალური შემვსებებით გამდიდრებული გრანულირებული უხეში საკვების წარმოების დავალება.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაევალა მოაწყოს ყაზახეთის სს რესპუბლიკაში განლაგებულ სამშენებლო ინდუსტრიის მოქმედ საწარმოებში ასაწყობი და ასაწყობ-დასაშლელი ფარეხების მშენებლობისათვის საჭირო შემსუბუქებული კონსტრუქციებისა და პანელების წარმოება. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ფარეხების მონტაჟი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო მოვალენი არიან 1972 წლის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ცხვრის მოვლა-პატრონობის ტექნოლოგიის შესახებ მეცნიერული კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გაფართოებისათვის, მეცხვარეობაში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის გაფართოებისათვის, მწყემსთა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს წყალამწევი მექანიზმების, საკვების განმანაწილებლებისა და მეცხვარეობის ფერმების მექანიზაციისათვის სხვა მოწყობილობის კონსტრუქციების შემუშავება და მათი სერიული წარმოება.

მწყემსებისა და მეცხვარეობის სხვა მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დაევალათ შეიმუშაონ ტიპური პროექტი მწყემსებისათვის ისეთი მოძრავი ხის საცხოვრებელი სახლისა, რომელიც აღჭურვილი იქნება გათბობის საშუალებით, ავეჯითა და სხვა მოწყობილობით, და შეიტანონ წინადადებანი მწყემსთა ასეთი სახლების წარმოების მოწყობისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე სამედიცინო მრეწველობის საწარმოებში დაიწყოს მოძრავი საშხაპე დანადგარების დამზადება და მათი სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დამზადებულ კარვიან კომპლექტთან ერთად მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მიწოდება, რომლებიც იყენებენ სამომთაბარო უდაბნო და ნახევრადუდაბნო საძოვრებს.

დადგენილებით გათვალისწინებულია მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანი მეცხვარეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გადიდებისათვის. იმ საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მწყემსებს, რომლებიც იყენებენ უდაბნო, ნახევრადუდაბნო და მთის საძოვრებს, აგრეთვე „შავი მიწების“ სამომთაბარო საძოვრებსა და ყიზლარის საძოვრებს, 1972 წლის 1 იანვრიდან მოცემულ მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟისათვის ეძლევათ დანამატი შემდეგი ოდენობით:

ვისაც ამ მეურნეობაში უწყვეტი მუშაობის სტაჟი აქვს	წლიური ხელფასის თანხის პროცენტი
3-დან 5 წლამდე	12
5-დან 10 წლამდე	15
10-დან 15 წლამდე	20
15 წელზე მეტი	25

საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მწყემსებს, რომლებიც იყენებენ უდაბნო, ნახევრადუდაბნო და მთის საძოვრებს, აგრეთვე „შავი მიწების“ სამომთაბარო საძოვრებსა და ყიზლარის საძოვრებს, ეძლევათ დამატებითი ყოველწლიური ფასიანი შვებულებები თუ სპეციალობის მიხედვით მათი მუშაობის უწყვეტი სტაჟი არის 3 წელზე მეტი ყოველი სამუშაო წლის 2 სამუშაო დღის მიხედვით, მაგრამ არ აღემატება 6 სამუშაო დღეს. ამასთან მუშაობის სტაჟი, რომელიც დამატებითი შვებულების უფლებას აძლევს, ითვლება მწყემსების მუშაობის პერიოდი 1969 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით დაევალა შეიმუშაოს, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს — დაამტკიცოს ცხვრის პარსვისა და ყარაკულის ცხვრის ტყავის გახდის სამუშაოთა ტარიფიკაცია, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ დაამტკიცოს უფრო მაღალი თანრიგები ამ სამუშაოებისათვის, 1972 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული.

საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მწყემსებზე, რომლებიც სამომთაბარო საძოვრებზე ცხვარსა და თხას მწყემსავენ, ვრცელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 იანვრის № 36 დადგენილება 7-15 წლის ასაკის ბავშვთა სკოლა-ინტერნატებსა თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლისა და შენახვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობა პროფკავშირთა 98 მილიონი წევრის სახელით გულითად სალამს უძღვნის მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

დიდი სიხარულის გრძნობით და უდიდესი აღმავლობით აღიქვეს ყრილობის დელეგატებმა, პროფესიულ კავშირთა ყველა წევრმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა. გმირი მუშათა კლასის, ყველა მშრომელის სახელით ყრილობა უღრმეს მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საბჭოთა პროფკავშირებზე მუდმივი ზრუნვისათვის, მათი, როგორც მართვა-გამგეობის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის, საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის.

XV ყრილობის დელეგატებმა, პროფკავშირთა ყველა წევრმა დიდი მადლიერებით აღიქვეს სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა დაჯილდოება ლენინის ორდენით. მეორე ლენინის ორდენი საბჭოთა პროფკავშირების დროშაზე — ეს არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მუშათა კლასის, სახალხო ინტელიგენციის, სოფლის მშრომელთა მრავალრიცხოვანი რაზმის, მათი საზოგადოებრივი აქტივისტების გმირული შრომის, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების მაღალი შეფასება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მაღალი ჯილდო გვავალებს პროფესიულ კავშირთა ყველა წევრს ვიმუშაოთ კიდევ უკეთ, დღითიდღე ვამრავლოთ ენერგია კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

როგორც თავიანთი მშობლიური, ღვიძლი საქმე აღიქვეს პროფკავშირებმა ისტორიული გადაწყვეტილებანი სკკპ XXIV ყრილობისა, რომელმაც განსაზღვრა ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისა და კულტურის დონის მნიშვნელოვანი ამაღლების, საზოგადოების კლასებისა და სოციალური ფენების შემდგომი დაახლოების პროგრამა, ჩვენმა XV ყრილობამ კვლავ დამაჯერებლად ცხადყო სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა ერთგულება კომუნისტური პარტიის დიადი საქმისადმი. ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მიზნები და ამოცანები აღაფრთოვანებენ პროფესიულ კავშირებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთ, მოუწოდებენ მათ ახალი დიდი საქმეებისათვის, თავდადებული შრომისათვის პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით განსახორციელებლად. უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რომლითაც მშრომელნი ახორციელებენ პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ შეკავშირებას.

საბჭოთა პროფკავშირები ამაყობენ იმით, რომ მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ და იბრძვიან ლენინური პარტიის დროშით. პარტიული ხელმძღვანელობა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი ერთგულება სასიცოცხლო ძალის წყაროა, პროფკავშირთა მუშაობაში ყველა წარმატების საწინდარია.

პარტიის მეცადინეობით, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული გარჯით მერვე ხუთწლედში ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. სსრ კავშირის ხალხთა უდიდესმა მიღწევებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს სოციალისტური წყობილების დაუშრეტელი შესაძლებლობანი.

ჩვენმა ყრილობამ შეაჯამა პროფესიულ კავშირთა საქმიანობის შედეგები საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში. მაღალი მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე მან დასახა სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტის საქმეში საბჭოთა პროფკავშირების მონაწილეობის კონკრეტული პროგრამა.

პროფკავშირთა ყურადღების ცენტრში კვლავაც იქნება მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომი აღმავლობის, სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, პატრიოტულ თაოსნობათა, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და ამაღლების საკითხები.

საბჭოთა პროფკავშირები ითვალისწინებენ, რომ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა მოპოვება და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, რაც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა, შესაძლებელია მხოლოდ თვითეული მშრომელის თავდადებული შრომის მეოხებით. პროფესიული კავშირები მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ღონისძიებებს მოახმარენ მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას, 1972 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე განაღდებას, საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის — ღირსეულად შეხვედრას.

ვეგებებით რა საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს, აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა პროფკავშირები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კიდევ უფრო მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ყველა ხალხთა ძმური მეგობრობა, კიდევ უფრო ძლიერდებოდეს ჩვენი საზოგადოების ინტერნაციონალური ერთიანობა.

პროფკავშირები კვლავაც აამაღლებენ თავიანთ აქტივობას სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში.

პროფკავშირები, ისევე როგორც წინათ, იზრუნებენ მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, მათი კულტურული და ჯანსაღი დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მუდამ განახორციელებენ კონტროლს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვისა და უსაშიშროების ტექნიკის წესებისა და ნორმების შესრულებისადმი.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებით პროფესიული კავშირები კიდევ უფრო აქტიურად დაეხმარებიან პარტიას, რათა მშრომელებს ჩამოუყალიბონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა და შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, ჩაუნერგონ მათ ისეთი მაღალი იდეურ-პოლიტიკური და მორალური თვისებები, როგორიც არის სოციალისტური პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, მუშათა კლასის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულება. პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო მეტი სიმტკიცით იბრძოლებენ ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისა და წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და კომუნისტური მორალის ნორმების განუხრელი დაცვისათვის.

პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ თვითეული მშრომელისათვის, მისი პოლიტიკური, პროფესიული და სულიერი ზრდისათვის, ამასთან მაღალ მომთხოვნელობას იჩენენ მის მიერ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისადმი, დღენიადაგ ყურადღებას დაუთმობენ იმას, რომ შრომით კოლექტივებში შეიქმნას ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო, აღზარდონ მშრომელები ხალხის დოვლათის ყაირათიან მეპატრონეებად, აქტიურ საზოგადო მოღვაწეებად.

ყრილობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ პროფკავშირები ბეჯითად გააუმჯობესებენ თავიანთ ორგანიზატორულ საქმიანობას, სრულყოფენ მის სტილსა და მეთოდებს, აამაღლებენ თვითეული ორგანიზაციის ავტორიტეტსა და მებრძოლურობას, კიდევ უფრო ფართოდ ჩააბამენ მშრომელებს საწარმოო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, აამაღლებენ მუშათა კრებებისა და მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების როლს, უფრო სრულად გამოიყენებენ მათს შესაძლებლობებს საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში.

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირები მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებულ სამშვიდობო პროგრამას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის საარსებო ინტერესებს. საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც მაღლა ატარებენ პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის დროშას, განამტკიცებენ მეგობრობას საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებთან, იბრძოლებენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა კლასობრივი ინტერესების დაცვის პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის მოქმედების ერთიანობისათვის.

პროფკავშირთა XV ყრილობა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ საბჭოთა პროფკავშირები მუდამ იქნებიან კომუნისტური პარტიის საიმედო დასაყრდენი, მასების ორგანიზატორები სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს, მშვიდობისა და ყველა მშრომელი ადამიანის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და მაორგანიზებელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობა

პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულება

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა

ხუთ დღეს მუშაობდა მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობა. მან კვლავ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა პროფესიული კავშირების ერთგულება კომუნისტური პარტიის დიადი საქმისადმი. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, აცხადებდნენ დელეგატები, პროფკავშირებს, ქვეყნის ყველა მშრომელს აღაფრთოვანებენ, რომ თავდადებით იშრომონ კომუნისტური მშენებლობისათვის.

24 მარტის დილის სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება სექციების მუშაობის შედეგების შესახებ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ვ. ი. პროხოროვმა; მან აღნიშნა, რომ ყრილობის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს ხუთი სექციის: პროფკავშირთა საწარმოო-მასობრივი, ეკონომიური მუშაობის, შრომის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და წარმოების კულტურის ამაღლების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების ორგანიზაციის, პროფკავშირთა აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის, წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის სექციების მუშაობაში. სექციების სხდომებზე გამოვიდა 130 დელეგატი.

კამათში გამოსული ამხანაგები. თქვა ვ. ი. პროხოროვმა, ხაზს უსვამდნენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში პროფკავშირთა როლის შესახებ პრინციპულ დებულებებს, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა პროფკავშირთა ყრილობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება პროფკავშირთა XV ყრილობისადმი. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემულია სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა, ჭეშმარიტად ლენინური ამომწურავი ანალიზი.

სექციებში დიდი დაინტერესებით განიხილავდნენ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ დაუსახა პროფკავშირებს, განიხილავდნენ საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაში დასმულ საკითხებს.

ეყრდნობოდნენ რა გამოცდილებას, რომელიც პროფკავშირებმა შეიძინეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, დელეგატებს შემოჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი ცხოვრების სხვადასხვა დარგში პროფკავშირთა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

(დასასრული მე-2 გვ.).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

24 მარტს გაიმართა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე არჩეული პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ა. ნ. შელეპინი; პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნებად არჩეული არიან ა. პ. ბირიუკოვა, ვ. ფ. ბოგატიკოვი, ი. მ. ვლადიჩენკო, ლ. ა. ზემლიანიკოვა, პ. ტ. პიმენოვი, ვ. ი. პროხოროვი, ნ. ნ. რომანოვი, ს. ა. შალაევი.

პრეზიდიუმის წევრები — ვ. გ. არხიპოვი, ვ. ა. ბლიუმი, ა. ტ. ბოკარევი, მ. გ. დოლჟენკოვა, ნ. ვ. დრაგუნოვი, კ. ა. ეგიზბაევი, მ. ა. ზაი-დოვი, ს. ნ. ზაიჩენკო, მ. ნ. ივანოვა, ი. ი. კოსტიუკოვი, ა. პ. მიხალევი, თ. ი. მოსაშვილი, მ. ფ. მურავიოვი, ბ. ნ. პასტუხოვი, ლ. ვ. პეტროვი, ვ. ნ. პოლივანოვი, ნ. ნ. პოლოგოვი, ა. მ. პოხმელნოვა, ვ. პ. პროვოტოროვი, ვ. ა. სოლოგუბი, ა. მ. სუბოტინი, ა. პ. უშაკოვი, ა. გ. შალაუროვა, ი. ფ. შკურატოვი.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა

გაიმართა აგრეთვე პროფკავშირთა XV ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ე. ფ. გუგინა. (საკდესი).

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50 წლისთავი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) პირველ რიგში — პროფესორები ს. ქარუმიძე, ი. აბაშიძე, ი. ჩხენკელი, ი. სარიშვილი, ნ. ლაფერაძე, ი. ბათიაშვილი, ნ. გელაშვილი; მეორე რიგში — პროფესორები ი. ჯაში, ლ. ეზანოიძე, ნ. კაიშაძე, გ. ტალახაძე, ნ. მარგველაშვილი, დოცენტი გ. ზვიადაძე; მესამე რიგში — პროფესორი ო. ნათიშვილი, დოცენტი ა. ჩარქსელიანი, პროფესორები მ. ქანთარია, მ. გუგუშვილი, დოცენტი ნ. ქარქაშაძე.

(სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 50 წლისთავთან დაკავშირებით მასალები იხილეთ მესამე გვერდზე).

ვლ. გინზბურგის ფოტო.

პარტიის დიადი საქმისადმი ერთგულება

(დასასრული)

ყრილობამ ერთხმად ურჩია საკავშირო პროფსაბჭოს გამოიყენოს სექციების მიერ შემუშავებული წინადადებანი პრაქტიკულ მუშაობაში.

ამით დამთავრდა კამათი საკავშირო პროფსაბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

საკავშირო პროფსაბჭოს ანგარიშის განხილვის შედეგებზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. შელეპინმა. ეს განხილვა, თქვა მან, მიმდინარეობდა მაღალ პოლიტიკურ და საქმიან დონეზე, გამოირჩეოდა ჩვენი მუშაობის შედეგებისა და პერსპექტივების განხილვისადმი პრინციპული და საღი მიდგომით. გამოსვლები შინაარსიანი და საინტერესო იყო. დელეგატებმა საგულისხმო წინადადებებით შეავსეს და გაამდიდრეს პროფკავშირების მუშაობის პრაქტიკული პროგრამა მიმდინარე ხუთწლედისათვის.

ყრილობის სახელზე, განაგრძო ა. ნ. შელეპინმა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მიღებულია ექვსი ათასზე მეტი შრომითი პატაკი, მისალმება და პრაქტიკული წინადადებანი საწარმოთა კოლექტივებისა და ცალკეული მშრომელებისაგან. ეს ნათლად მოწმობს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ღრმა ინტერესს ყრილობის მუშაობისადმი.

ყოველივე ეს ერთად აღებული, თქვა ა. ნ. შელეპინმა, საშუალებას აძლევს ჩვენს ყრილობას საქმიანობის კარგი პროგრამა შეიმუშაოს მომავლისათვის.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

ერთხმად დაამტკიცეს აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობის დელეგატები შეუდგნენ კანდიდატების დასახელებას საკავშირო პროფსაბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში. შემდეგ გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შემდეგ ყრილობის სხდომა გაგრძელდა.

დელეგატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობის მაღალი შეფასება, რომელიც მოცემულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში პროფკავშირთა XV ყრილობაზე, პროფკავშირთა დაჯილდოება ლენინის ორდენით, პროფკავშირთა წინაშე პასუხსაგები ამოცანების დასახვა გამოხატავენ დიდ ნდობას პროფკავშირებისადმი, კომუნისტური პარტიის ზრუნვას იმისათვის, რომ მათ წარმატებით შეასრულონ თავიანთი როლი — მართვის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის როლი. სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა პროფკავშირთა საქმიანობის საკითხებზე ყველა ამ დებულებას იღებს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად.

სსრკ პროფკავშირთა XV ყრილობამ წინადადება მისცა საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საბჭოებს, კომიტეტებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების — ეკონომიური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაზე პროფკავშირთა ზემოქმედების მთავარი მეთოდის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება გასულ წლებში შეხამებული იყო ქალაქისა და სოფლის მშრომელთა, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. ყრილობა წინადადებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხელფასის საკითხებზე სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში, გეგმაზომიერად იმუშაონ მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა შრომის პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისათვის. შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით რეკომენდებულია პროფკავშირებში შეიქმნას შრომის სამართლებრივი ინსპექცია.

საბჭოთა ადამიანის, როგორც კომუნიზმისათვის შეგნებული და აქტიური მებრძოლის, ფორმირების ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროფესიულ კავშირებს, ყრილობა წინადადებას აძლევს საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქტიურად დაეხმარონ კომუნისტურ პარტიას მშრომელთა უფართოესი მასებისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებით მათ აღზრდაში. საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ პროფკავშირთა ფართო მონაწილეობას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის მომზადებასა და აღნიშვნაში.

საბჭოთა პროფკავშირების საერთაშორისო საქმიანობის დარგში ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მთელი ძალებითა და საშუალებებით შეუწყონ ხელი სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული საგარეოპოლიტიკური კურსისა და მის მიერ მოწონებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებას, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მსოფლიო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის მთელი ძალების შეკავშირებას იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, მონოპოლიათა ექსპლოატატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა, ნათქვამია რეზოლუციაში, აღუთქვამს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფესიული კავშირები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კვლავაც იქნებიან პარტიის ერთგული და უახლოესი თანაშემწენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ვ. ნ. პოლივანოვმა გამოაცხადა პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობას ფარული კენჭისყრის შედეგები.

15 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის საბოლოო სხდომა. პრეზიდიუმში შემოვიდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, თ. დ. კულაკოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დელეგატებმა მოისმინეს ცნობა პროფკავშირთა XV ყრილობის მიერ არჩეული საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ.

სხდომაზე საბჭოთა პროფკავშირებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ლენინის ორდენი.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დარბაზში გრიალებს ოვაცია კომუნისტური პარტიის — კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორისა და შთამაგონებლის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები „ლენინის პარტიას — დიდება!“, „ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!“, ქუხს მძლავრი „ვაშა!“.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობა დახურულად ცხადდება. დელეგატები და სტუმრები დიდი აღმავლობით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. (საკდესი).

დიდება შრომას!

კონცერტი სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატებისათვის

„იდიდე, შრომის სამშობლოვ!“ — ეს პოეტური სტრიქონები იყო ეპიგრაფი კონცერტისა, რომელიც 23 მარტს გამართეს კრემლში მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატებისათვის. მეცხრე ხუთწლედის ნოვატორები და დამკვრელები, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი იყვნენ გმირები მკაფიო თეატრალიზებული წარმოდგენისა, რომელიც რეჟისორმა დ. ტიხომიროვმა დადგა.

კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე გადაიშალა საბჭოების ქვეყნის სივრცეებზე მიმდინარე მშვიდობიანი აღმშენებლობის პანორამა. ამ კონცერტზე მაყურებლებიც და მსახიობებიც მშრომელი ადამიანები იყვნენ. ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ოცდაათი ქალაქიდან ჩამოვიდნენ დედაქალაქში მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო კოლექტივები, მომღერლები და მოცეკვავეები, მუსიკოსები და მხატვრული კითხვის ოსტატები. თავიანთი ხელოვნება მათ მიუძღვნეს სამშობლოს, ლენინის პარტიას, საბჭოთა ხალხების ძმობას.

სადღესასწაულო პროგრამა დაიწყო კ. ლისტოვის ახალი სიმღერით „ჰიმნი შრომას“, რომელიც შეასრულა ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის კულტურის სასახლის ვოკალურმა კოლექტივმა. ამ საღამოს გაიმართა კიდევ რამდენიმე მუსიკალური პრემიერა. კომპოზიტორების ს. ტულიკოვისა და რ. შჩედრინის ნაწარმოებები შეასრულეს გორკელმა და ჩელიაბინსკელმა მოყვარულმა მსახიობებმა, მოსკოვის პროფკავშირთა გაერთიანებულმა გუნდმა.

ნაირფერი ქორეოგრაფიული პლაკატი „ენთუზიასტები“, რომელიც განადიდებს საბჭოთა ადამიანის შემოქმედებით შრომას, გვიჩვენეს ვლადივოსტოკის მეზღვაურებმა, ნეფტეიუგანსკის მშენებლებმა, კრასნოიარსკის რკინიგზელებმა, ნოვოკუიბიშევსკის მენავთობეებმა, ყაზანის მუშებმა — რუსეთის ფედერაციის მრავალი ქალაქის წარმომადგენლებმა.

უკრაინის ხელოვნება წარმოადგინა ხარკოვის, ელექტრომექანიკური ქარხნის მოცეკვავეთა ანსამბლმა. სტუმრებმა შეასრულეს სიუიტა „მშობლიური მხარე“. მინსკელ ტრაქტორმშენებელთა ანსამბლი ამ საღამოს შეცვალეს ერევნელ ელექტრიკოსთა და ალმაათელ მშენებელთა კოლექტივებმა. მუსიკალური ნომერი წარმოადგინა ფრუნზეს ლენინის სახელობის კულტურის სასახლის ანსამბლმა. საბჭოთა ბალტიისპირეთში გადაიყვანეს მაყურებლები რიგის ანსამბლმა „გოკლემ“, ტალინის „კულიუსმა“ და კაუნასის ხალხური ცეკვის კოლექტივმა.

ქორეოგრაფიული სურათი „მებამბეები“ უჩვენეს დამსწრეთ უზბეკმა და ტაჯიკმა ფეიქრებმა. მათს ხელოვნებას აერთიანებდა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული შრომის თემა. მხედართა ფიცხელი ცეკვა წარმოადგინეს აშხაბადელმა სტუდენტებმა, ქალთა ფერხული — ბაქოელმა სტუდენტმა ქალიშვილებმა. „მევენახეები“ — ასე დაარქვეს თავიანთ ქორეოგრაფიულ ნომერს მოლდაველმა მეაბრეშუმეებმა.

თბილისის კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მუშაკებმა შეასრულეს სიუიტა „შრომითი დღის შემდეგ“. [illegible] სიმღერა გაისმა დარბაზის მაღალ თაღებში. თითქოს სახელოვანი საბრძოლო და შრომითი ტრადიციების [illegible] მოიტანეს იგი მოსკოვში ვოროშილოვგრადელ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა გუნდის მომღერლებმა.

მსოფლიოს ხალხთა საინტერესო ცეკვები წარმოადგინეს პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ვიეტნამელმა სტუდენტებმა.

...კონცერტი დასასრულს უახლოვდება. გაერთიანებულმა გუნდმა და მოსკოვის პროფკავშირთა გაერთიანებულმა სასულე ორკესტრმა ჩვენი ქვეყნის შვიდი ქალაქის სოლისტებმა შეასრულეს ვ. მურადელის „ჰიმნი პარტიას“.

გაერთიანებული გუნდი და ყველა დამსწრე დიდი აღმავლობით მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

მრავალფეროვანმა წარმოდგენამ კრემლის ყრილობათა სასახლეში ცხადყო, თუ რა მწვერვალებს მიაღწია ჩვენი ხალხების ხელოვნებამ, რომლებიც ერთსულოვნად შეკავშირებულ ოჯახად ეგებებიან თავიანთ ძმობის დღესასწაულს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი. (საკდესი).

საბჭოთა პროფკავშირებს გადაეცათ ლენინის ორდენი

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის საქმეში, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებაში საბჭოთა პროფკავშირების დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის პროფესიული კავშირები დაჯილდოვდნენ ლენინის ორდენით. ეს მაღალი ჯილდო გადაეცა 24 მარტს პროფკავშირთა ყრილობის საღამოს სხდომაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ორდენი გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. პ. რუბენმა. მან თქვა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მკაფიო და ამაღელვებელ სიტყვაში ყრილობაზე მაღალი შეფასება მიეცა საბჭოთა პროფკავშირების მრავალმხრივ საქმიანობას, განისაზღვრა მათი ამოცანები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, თანამედროვე პირობებში ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პროფკავშირების დაჯილდოება მეორე ლენინის ორდენით ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო აღიარებენ მათს დიდ დამსახურებას სამშობლოს წინაშე.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა. მან თქვა: ამაყობენ რა თავიანთი საქმიანობის მაღალი შეფასებით, პროფკავშირები თავიანთ დამსახურებას მთლიანად მიაწერენ კომუნისტურ პარტიას, რადგან ყველა წარმატებასა და მიღწევას მთლიანად უნდა უმადლოდნენ პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას. ეს ჯილდო ბევრს გვავალებს. სამშობლოს საპატიო ჯილდოს პროფკავშირები უპასუხებენ თავდადებული შრომით.

ხელმძღვანელობს რა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, განაგრძო ა. ნ. შელეპინმა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ზუსტად განუსაზღვრა საბჭოთა პროფკავშირებს მომავალი განვითარების პერსპექტივები თავის მისალმებაში პროფკავშირთა XV ყრილობისადმი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მკაფიო და შინაარსიან სიტყვაში ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას, ნაჩვენებია, თუ რა თანმიმდევრულად ახორციელებენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ლენინურ საგარეოპოლიტიკურ კურსს, მკაფიოდ და ზუსტად მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან განსაზღვრულია საბჭოთა პროფკავშირების ამოცანები. ჩვენი ვალი ის არის, რომ ყველაფერი ვიღონოთ ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

შესანიშნავ დროს იღებენ საბჭოთა პროფკავშირები მაღალ ჯილდოს. განვითარების ახალი ეტაპი, რომელშიც შევიდა საბჭოთა საზოგადოება სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, — ეს არის პარტიისა და ხალხის გრანდიოზული შემოქმედებითი სამუშაოების, ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო-ისტორიული მიღწევების დრო.

მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მალე ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, რომელმაც განჭვრიტა მომავალი, იწინასწარმეტყველა, რომ სოციალიზმი შექმნიდა მუშაობის ისეთ სარბიელს, რომელზეც საბჭოთა ადამიანი ფართო, ჭეშმარიტად მასობრივი მასშტაბით გამოავლენდა საზრიანობას, ენერგიას, გამბედაობას, ნიჭს, მიაგნებდა მჩქეფარე ნიჭის წყაროებს.

საბჭოთა პროფკავშირისათვის არ არის იმაზე მეტი ბედნიერება ვიდრე ის, რომ კომუნისტური პარტიის ლენინური დროშით თავიანთი მარჯვენის, გონებისა და ნიჭის ძალით შეჰქონდეთ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების აშენების საყოველთაო-სახალხო საქმეში.

საბჭოთა პროფკავშირების დროშაზე მეორე ლენინის ორდენია. იგი მარად გაგვაცისკროვნებს გზას ჩვენ და საბჭოთა მშრომელების მომავალ თაობებს, როგორც საბჭოთა პროფკავშირების დამსახურების, ლენინის დიადი საქმისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ურღვევი ერთგულების საყოველთაო-სახალხო აღიარების სიმბოლო. და როცა შევცქერით ამ ორდენებს, რომლებზეც გამოსახულია ყველა ჩვენგანისათვის უსაზღვროდ ძვირფასი დიდი ბელადის სახე, მთელი ჩვენი ფიქრები მიმართულია ერთი მიზნისაკენ: რაგინდ დიდი და რთული საქმე დაავალოს პარტიამ საბჭოთა პროფკავშირებს, ეს დავალება შესრულდება.

დარბაზის ტაშის გრიალში ა. ნ. შელეპინმა ყრილობის დელეგატების სახელით გულითადი მადლობა უძღვნა კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის პროფკავშირების ლენინის ორდენით დაჯილდოებისათვის.

(საკდესი).

მდგომარეობა ჩრდილოეთ ირლანდიაში

სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის განცხადება

საბჭოთა პროფკავშირების XV ყრილობის დელეგატები დიდ შეშფოთებას გამოთქვამენ ჩრდილოეთ ირლანდიის დრამატული ამბების გამო.

ჩრდილოეთ ირლანდიის მშრომელებისა და მოსახლეობის ფართო წრეების სამართლიანი მოთხოვნების პასუხად, რომლებიც მოქალაქეობრივ უფლებებს, სოციალურ და დემოკრატიულ თავისუფლებებს იცავენ, ხელისუფალნი აძლიერებენ მასობრივ რეპრესიებს. დიდი ბრიტანეთის მმართველმა წრეებმა უარი თქვეს ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის გზაზე და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გაგზავნეს არმია, დააწესეს ქვეყანაში პოლიციური თვითნებობის რეჟიმი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება, შეიწირა ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები, არია ეკონომიური ცხოვრება, კიდევ უფრო გააუარესა მშრომელი ხალხის მდგომარეობა.

ამბებმა, რომლებიც 1972 წლის 30 იანვარს მოხდა ლონდონდერიში, სადაც მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შედეგად დახოცეს 13 და მძიმედ დაჭრეს 18 კაცი, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

საბჭოთა პროფკავშირების 98 მილიონი წევრის სახელით XV ყრილობა სოლიდარობას უცხადებს ჩრდილოეთ ირლანდიის მშრომელებს, გულწრფელად თანაუგრძნობს თვითნებობის მსხვერპლთა, ინტერნირებულთა და დაპატიმრებულთა ოჯახებს. ყრილობის დელეგატები გამოთქვამენ რწმენას, რომ სამართლიანად გადაიჭრება ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის საუკუნოვანი მისწრაფებანი ჰუმანიზმისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

პროფკავშირთა XV ყრილობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ჩრდილოეთ ირლანდიის მოსახლეობის მიმართ რეპრესიებისა და ძალადობის გამოყენების წინააღმდეგ და მოითხოვს ბოლო მოუღონ შეიარაღებული ძალების გამოყენებას. დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი და ინტერნირებული პირი, განახორციელონ ჩრდილოეთირლანდიელი ხალხის სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილების ღონისძიებანი.

მსოფლიო დღეს

საბჭოთა პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა

მსოფლიო პრესა კვლავ განმარტავს სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვას და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პროგრამას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა.

პარიზი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მორის შუმანმა მთავრობის წევრებს გააცნო ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა და განაცხადა, რომ ეს სიტყვა „ადასტურებს საბჭოთა მთავრობის რეალიზმს“.

ნიუ-იორკი. გაზეთი „დეილი უორლდი“ წერს: ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა განავითაროს საპირისპირო საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებთან, მათ შორის შეერთებულ შტატებთან. თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი ერთმანეთს უხამებს იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვებისათვის საკადრისი პასუხის გაცემას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემებისადმი კონსტრუქციულ მიდგომას.

დასავლეთი ბერლინი. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კვლავ დამაჯერებლად გამოხატავს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დასავლეთ ბერლინის გამგეობის წევრმა ფრანც რუმპმა.

ნიქოზია. ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილად ვერ მოეკიდება იმპერიალისტური ძალების ხრიკებს დამოუკიდებელი კვიპროსის სახელმწიფოს წინააღმდეგ, წერს გაზეთი „ხარავგი“. მიგვაჩნია, ხაზს უსვამს გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირის ეს გაფრთხილება ჩააფიქრებს იმათ, ვინც ესწრაფვის საბერძნეთში მუდმივი სამხედრო ბაზების შექმნას.

კაირო. გაზეთი „ალ-გუმჰურია“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ „ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდმნიშვნელოვანი და დროული პოლიტიკური ნაბიჯია, რომელსაც უეჭველია, კეთილმოსურნეობით აღიქვამენ არაბულ სამყაროში“. „ლ. ი. ბრეჟნევმა, — აღნიშნავს გაზეთი — კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ღრმა გაგებით ეკიდება ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მწვავე კრიზისს, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ ესწრაფვის აღმოფხვრას ისრაელის აგრესიის შედეგები“.

დელი. ინდოეთის მთავრობის წრეებთან ახლომდგომი გაზეთი „ნეშნი ჰერალდი“ აღნიშნავს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა „კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის მეგობრული ურთიერთობა განავითაროს ინდოსტანის ნახევარკუნძულის ყველა სახელმწიფოსთან“. „საბჭოთა კავშირი, — წერს გაზეთი, — მხარს უჭერს ინდოეთის, პაკისტანისა და ბანგლადეშის მშვიდობასა და კეთილმეზობლობას“.

დაკა. გაზეთი „მორნინგ ნიუსი“ ყურადღებას მიაპყრობს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „აზიაში უშიშროების ნამდვილი გზა არ არის სამხედრო ბლოკებისა და დაჯგუფებების გზა, სახელმწიფოთა დაპირისპირების გზა, არამედ ეს არის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს კეთილმეზობლური თანამშრომლობის გზა“.

ყარაჩი. გაზეთი „დოონი“ ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირს პაკისტანთან „არა აქვს არავითარი კონფლიქტი, ინტერესების არავითარი წინააღმდეგობა“. (საკდესი).

ბონი

ვ. ბრანდტის წერილი

24 მარტი. (საკდესი). ფედერალურმა კანცლერმა ვ. ბრანდტმა წერილი გაუგზავნა ახალგაზრდული ორგანიზაციის „ქრისტიან-დემოკრატ სტუდენტთა გაერთიანების“ თავმჯდომარეს.

ვ. ბრანდტმა ხაზი გაუსვა იმ დადებით ზემოქმედებას, რომელიც საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებამ მოახდინა დასავლეთ ბერლინის შესახებ, ოთხმხრივი შეთანხმების მიღწევას და აღნიშნა, რომ ფედერაციული რესპუბლიკა იზოლაციაში აღმოჩნდება, თუ მოსკოვსა და ვარშავაში დადებული ხელშეკრულებანი უარყვეს.

რავალპინდი

დიპლომატიური ურთიერთობა აღდგენილია

24 მარტი. (საკდესი). პაკისტანის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა პოლონეთთან და უნგრეთთან.

ამას წინათ გამოაცხადეს აგრეთვე, რომ პაკისტანმა დიპლომატიური ურთიერთობა განაახლა იუგოსლავიასთან.

ამანი

ჰუსეინის პრეს-კონფერენცია

24 მარტი. (საკდესი). იორდანიის მეფემ ჰუსეინმა პრეს-კონფერენციაზე განმარტა არაბთა გაერთიანებული სამეფოს შექმნის თავისი გეგმა.

როგორც ცნობილია, 15 მარტს მეფემ წინადადება წამოაყენა შეიქმნას ეს სამეფო ორი რაიონისაგან: პალესტინისა, რომელიც შეიცავს მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროს, და „სხვა არაბული ტერიტორიებისაგან, რომელთა მოსახლეობა მოისურვებს შეუერთდეს სამეფოს“, აგრეთვე იორდანიის რაიონისაგან, რომელიც შეიცავს იორდანიის აღმოსავლეთ სანაპიროს.

პრეს-კონფერენციაზე მეფე ჰუსეინმა განაცხადა, რომ „ეს გეგმა მანამ არ განხორციელდება, სანამ არაბებს არ დაუბრუნებენ ტერიტორიას, რომელიც ისრაელმა მიიტაცა 1967 წლის ივლისში, სანამ არ განხორციელდება უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია და სანამ არ აღადგენენ არაბთა უფლებებს იერუსალიმში და პალესტინელთა უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალი რეზოლუციის შესაბამისად“.

ნიუ-იორკი

ს. იტონი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

24 მარტი. (საკდესი). თვალსაჩინო ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ საირუს იტონმა მაღალი შეფასება მისცა მშვიდობის თანმიმდევრულ პროგრამას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი მშვიდობის მიმართულებით, იტონის აზრით, იქნებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. შეერთებული შტატების საქმიან წრეებში გამოაქვთ დასკვნა, რომ ამერიკასა და სსრ კავშირს შორის გაგების მიღწევა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. შარშან ასობით ამერიკელი ბიზნესმენი ეწვია საბჭოთა კავშირს და მკაფიო შთაბეჭდილება დარჩა ამ მოგზაურობათა შემდეგ.

„საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობის პერსპექტივები ჭეშმარიტად განუსაზღვრელია“, — თქვა იტონმა. მაგრამ ამ შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის შეერთებულმა შტატებმა უნდა აღმოფხვრას ამჟამად მოქმედი სავაჭრო შეზღუდვები.

უარყვეს ოკუპანტთა გეგმები

ამანი. 24 მარტი. (საკდესი). მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე დაძაბული ვითარება შეიქმნა იმის გამო, რომ ისრაელის ხელისუფალნი ცდილობენ კანონიერად წარმოსახონ ამ რაიონის ოკუპაცია მუნიციპალური არჩევნების მოწყობის გზით. დასავლეთის სანაპიროს მოსახლეობა სულ უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევს ოკუპანტთა გეგმებს.

აქ მიღებული ცნობებით, დასავლეთის სანაპიროს უდიდეს ქალაქ ნაბლუსში რვა კანდიდატმა, რომელთა შორის ნაბლუსის ყოფილი მერი ჰამდი კენაანიც არის, მოხსნა თავისი კანდიდატურა.

ისრაელის სამხედრო ადმინისტრაცია, რომელიც ცდილობს აიძულოს მოსახლეობა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, დაემუქრა, რომ თუ კანდიდატთა საკმაო რიცხვს არ დაასახელებენ, „ადგილობრივი სამმართველოს ფუნქციები“ გადაეცემა ისრაელის არმიის წარმომადგენლებს.

არაბ მოსახლეობას რეპრესიებით დაემუქრა აგრეთვე ისრაელის თავდაცვის მინისტრი მოშე დაიანი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ახლა უწინარეს ყოვლისა იმის იმედი აქვთ, რომ ადგილობრივ დაქირავებულთა დახმარებით ჩაახშობენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ინდოჩინეთში, რათა შეინარჩუნონ თავიანთი პოლიტიკური და სტრატეგიული პოზიციები ამ რაიონში. ამას ვაშინგტონში იმის „ვიეტნამიზაციას“ უწოდებენ. ამერიკული მუნდირები, რომლებიც საგრძნობლად შელახეს ინდოჩინეთის პატრიოტებმა, სურთ შეცვალონ მარიონეტულ ჯარისკაცთა მუნდირებით. მაგრამ პოლიტიკური სარჩული კვლავ ამერიკული რჩება.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე.



„ვიეტნამიზაცია“.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

ლონდონი

მსხვილი კაპიტალის ინტერესებისათვის

24 მარტი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტი განიხილავს ინგლისის 1972-1973 საფინანსო წლის ახალი ბიუჯეტის პროექტს, რომელიც კონსერვატორთა მთავრობამ შეიმუშავა.

პროექტში ამტკიცებენ, რომ ახალმა ბიუჯეტმა უნდა გაითვალისწინოს „საერთო ბაზართან“ ინგლისის შეერთების წინ ეკონომიკის განვითარების ახალი სტიმულები. პრესის გამონათქვამების თანახმად, ეს სტიმულები უწინარეს ყოვლისა შეესაბამებიან მსხვილი კაპიტალის ინტერესებს და მთლიანად უგულებელყოფენ მშრომელი მასების საჭიროებებს. მთავრობამ, კერძოდ, წამოაყენა წინადადება შეამცირონ კომპანიათა მოგების გადასახადები. ინგლისელმა მრეწველებმა და საქმოსნებმა მთავრობის ეს აქტი შეაფასეს როგორც „საჩუქარი“.

შემთხვევითი როდია, რომ პირველსავე დღეს, როცა პარლამენტი განიხილავდა ბიუჯეტის პროექტს, ინგლისის მრეწველობის კონფედერაციამ მოიწონა მთავრობის ღონისძიებანი, ხოლო ლონდონის ბირჟამ ამ ღონისძიებებს უპასუხა მსხვილ მონოპოლიათა აქციების კურსის მომატებით. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, რომ „ახალი ბიუჯეტი უფრო მეტად სარგებლობას მდიდრებს მოუტანს“.

რაც შეეხება მშრომელებს, ბიუჯეტის პროექტი არავითარ მნიშვნელოვან ღონისძიებებს არ ითვალისწინებს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის — უმუშევართა რიცხვმა ქვეყანაში ჯერ კიდევ შარშან გადაამეტა მილიონ კაცს.

ეხება რა უმუშევრობის პრობლემას, ლონდონის „ტაიმსი“ წერს, რომ „ზრდის ტემპი 5 პროცენტითაც რომ დაჩქარდეს, საეჭვოა ამან არსებითი გავლენა მოახდინოს უმუშევრობაზე“.

ბიუჯეტის ახალი პროექტი, ისევე როგორც წინანდელი პროექტები, ითვალისწინებს სამხედრო ხარჯების გადიდებას. 1972-1973 საფინანსო წელს ეს ხარჯები 83 მილიონი გირვანქა სტერლინგით გაიზრდება წინა წელთან შედარებით და მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელებს.

დარ-ეს-სალამი

მოქმედების ერთიანობა

24 მარტი. (საკდესი). სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებული ფრონტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო სამხრეთ როდეზიის ორმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ — ზიმბაბვეს (ზაპუ) აფრიკელი ხალხის კავშირმა და ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნულმა კავშირმა.

ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შეხვედრის შემდეგ აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ რასისტების წინააღმდეგ რევოლუციური განმათავისუფლებელი ბრძოლის დაგეგმვისა და წარმოებისათვის იქმნება გაერთიანებული სამხედრო სარდლობა.

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი ჯორჯ მაგომბე, რომელიც ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირისა და ზიმბაბვეს აფრიკელთა ეროვნული კავშირის ლიდერთა შეხვედრას თავმჯდომარეობდა, მიესალმა ამ გადაწყვეტილებას და იგი შეაფასა დიდმნიშვნელოვან ნიშანსვეტად აფრიკის კონტინენტის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

რომი

ბრალდება ნეოფაშისტებს

24 მარტი. (საკდესი). სამ ნეოფაშისტს — პინო რაუტის, ჯოვანი ვენტურასა და ფრანკო ფრედას — ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება, რომ აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს რომსა და მილანში, სადაც 1969 წლის 12 დეკემბერს ბომბების აფეთქებით დაიხოცა 16 და დაიჭრა 100-მდე კაცი. ამ ამბავმა შეაძრწუნა იტალია, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია „შავხალათიანთა“ პროვოკაციული საქმიანობის წინააღმდეგ.

სამივე ბრალდებული დაპატიმრებულია. მათთვის წაყენებული ბრალდება ემყარება გამოძიების მასალებს, რომელიც ორ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა რომში, მილანში, ტრევიზოსა და იტალიის სხვა ქალაქებში. მემარცხენე და დემოკრატიული პრესა დღეს აღნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს ნეოფაშისტთა ფართოდ განშტოებული „შავი შეთქმულება“, ამხილა „იტალიის სოციალური მოძრაობის“ ნამდვილი სისხლიანი სახე.

საჭიროა ბოლომდე მიიყვანონ გამოძიება, გამოააშკარავონ შეთქმულების მთელი ფესვები და განშტოებანი, მკაცრად დასაჯონ ყველა ბრალდებული, მათი თანამზრახველნი და მფარველნი, საჭიროა არა მარტო საბოლოოდ გაანადგურონ დანაშაულებრივი ავანტიურა, არამედ აგრეთვე გააშუქონ იტალიის თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ფურცელი, წერს გაზეთი „უნიტა“.

ვაშინგტონი

ცილისწამების რუპორები

24 მარტი. (საკდესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ამა წლის 30 ივნისამდე ფედერალური ბიუჯეტიდან დააფინანსონ რადიოსადგურები „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“, რომლებიც ეწევიან ძირგამომთხრელ პროპაგანდას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ეს კანონპროექტი უფრო ადრე მოიწონა სენატმა.

ამრიგად, ამერიკელი კანონმდებელნი აჰყვნენ ოფიციალური ვაშინგტონის ნებას, რომელიც ყოველნაირად, მათ შორის აშკარა ძალდატანების მეთოდებითაც, ცდილობს უზრუნველყოს სიცრუისა და ცილისწამების ამ გამავრცელებელთა შემდგომი არსებობა.

სკანდალი კაპიტოლიუმის ბორცვზე ორი რადიოსადგურის — ძირგამომთხრელი საქმიანობის ამ რუპორების — გამო ატყდა მას შემდეგ, რაც ამხილეს, რომ მათ აფინანსებდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. „კერძო პირთა და ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი „შემოწირულობის“ სახით ამერიკის ჯაშუშური უწყება თავისი საიდუმლო ფონდებიდან ყოველწლიურად გამოჰყოფდა ამ რადიოსადგურების შესანახავად 36 მილიონ დოლარს.

აღნიშნული მხილების გამო მიიღეს გადაწყვეტილება შეეცვალათ დასავლეთ გერმანიაში მოკალათებული ამ რადიოსადგურების დაფინანსების წყაროები. მაგრამ კონგრესის ბევრმა წევრმა მკვეთრად გააკრიტიკა მათი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის გაძლიერებას მსოფლიოში და გაილაშქრა მათთვის სახსრების გამოყოფის წინააღმდეგ.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „თავისუფლებასა“ და „თავისუფალ ევროპას“ კარგა ხანია უნდა გამოეყოთ ადგილი „ცივი ომის ნაშთების სასაფლაოზე“, და რომ მათი გადაცემები „აბრკოლებენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას“.

ვიზები არ მისცეს

ვაშინგტონი. 24 მარტი. (საკდესი). ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ქვეყანაში შესასვლელი ვიზები არ მისცა ოთხ კუბელ კინორეჟისორს კუბის ხელოვნებისა და კინომრეწველობის ინსტიტუტის დირექტორის ალფრედო გევარას მეთაურობით.

ისინი ნიუ-იორკში მიიწვიეს თავისუფლების კუნძულის ფილმების პირველი კინოფესტივალის გახსნაზე.

ამბები

● **საფრანგეთის კომუნისტური პარტიის** ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, დაამთავრა მუშაობა. პლენუმის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: პოლიტიკური მდგომარეობა და გაზეთ „ლუმანიტეს“ როლი სახალხო კავშირის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო პლენუმზე გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ჟ. მარშე.

● **როგორც ამერიკის** ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების ოქროსა და ვალუტის რეზერვები თებერვალში 549 მილიონი დოლარით შემცირდა.

● **ვიეტნამის შესახებ** პარიზის თათბირზე ამერიკის დელეგაციის მეთაურმა უ. პორტერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს მომდევნო 148-ე პლენარულ სხდომაში, რომელიც 30 მარტსაა დანიშნული.

● **„სი-ეს“ შხამიანი გაზის** კვამლში გახვია ლონდონდერი. „უშიშროების ძალებმა“ კვლავ გამოიყენეს იგი ირლანდიელთა წინააღმდეგ. ქალაქის ქუჩებში დროდადრო გაისმოდა სროლა, აფეთქებები. ოლსტერში დაძაბული ვითარების მიუხედავად, ინგლისის მთავრობა არ ხმარობს რაიმე ღონისძიებას კრიზისის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. კაბინეტის სხდომაზე, სადაც სპეციალურად იხილავდნენ ოლსტერის საკითხს, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ფაქტები

აგრონომიული აზრის ფუძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრების სამჭედლო

ზ. გელდიაშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სამი წლის წინათ, ოქტომბერში საქართველოს მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ერის კულტურის დედაბოძის, თბილისის უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ქართული ეროვნული კულტურის ფესვები შორს, ერის სულიერ წიაღშია გადგმული. ამაზე მეტყველებს ის, რომ საქართველოში სწავლა-განათლებას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. ცნობილია რომ ჯერ კიდევ მესამე-მეოთხე საუკუნის მიჯნაზე კოლხეთში ფოთის (ფაზისის) მახლობლად მოქმედებდა იმ დროისათვის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი სკოლა. გავიხსენოთ თუნდაც გელათისა და იყალთოს აკადემიები. ამ აკადემიებს ხელმძღვანელობდნენ სახელგანთქმული ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

ჩვენი მეცნიერების მიერ უკვე მტკიცედ არის დადასტურებული, რომ ამ აკადემიებში სხვა დისციპლინების გარდა ისწავლებოდა მოძღვრება მცენარეთა მცოდნეობის შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს იმის მტკიცე საფუძველი, როგორც დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ იმდროინდელი ქართული აგრონომიული მეცნიერების ზოგიერთი დებულება გამოვარკვიოთ.

შემდგომ პერიოდში უცხოელ მომხვდურთა გამუდმებული თავდასხმებისა და აოხრების გამო საქართველოში შეფერხდა სწავლა-აღზრდის საქმე. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდშიც, სუსტად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა მეცნიერების განვითარება.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ თელავში გაიხსნა სემინარიები. ამ სემინარიის ბაზაზე მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში თელავში დაარსდა ფილოსოფიური სემინარია, სადაც უმაღლესი სასწავლებლის დონეზე ასწავლიდნენ ისტორიას, ფილოსოფიას, გრამატიკას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო იყო, არის და იქნება მაღალკულტურული განათლების ქვეყანა. სწავლის წყურვილი, ცოდნის დაუფლებისადმი მისწრაფება ჩვენს ხალხს თავიდანვე მოსდევს. ვერც უცხოელ დამპყრობთა ბარბაროსობამ, ვერც ცარიზმის ბატონობამ ვერ შეანელა განათლებისაკენ სწრაფვა.

სწორედ ხალხის, მაღალი კულტურის მქონე ქართველი მეცნიერების დაუოკებელი ლტოლვის შედეგი იყო ის, რომ თბილისში ჩვენი საუკუნის ოციან წლებში კვლავ აღდგა უმაღლესი განათლების კერა. ქართული უნივერსიტეტის დაარსება იყო სულიერი ხიდი, რომელიც გაიდო ჩვენს და შუასაუკუნეებს შორის, თბილისსა და იყალთო-გელათს შორის. ქართული უნივერსიტეტის დაარსება ჩვენი ხალხის ისტორიაში იყო ერის კულტურის წინსვლისა და მეცნიერების გაფურჩქვნის ნიშანსვეტი.

სწორედ თბილისის უნივერსიტეტში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ქართულ აგრონომიული მეცნიერებისა და განათლების აღორძინებას. როგორც ვიცით, 1919 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო - საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო განყოფილება. ამ განყოფილების ორგანიზაციაში დიდი წვლილი შეიტანეს პროფესორმა სოლომონ ქურდიანმა, აგრონომ-პედაგოგებმა რცხილაძემ, ყაზანიშვილმა, ზაალიშვილმა, კორინთელმა და სხვებმა. ორი წლის შემდეგ ეს განყოფილება აგრონომიულ ფაკულტეტად გადაკეთდა, ხოლო ამ ფაკულტეტის პირველი დეკანი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი იყო. აი სწორედ აქედან იწყება ჩვენი იუბილარი ინსტიტუტის ისტორია. დიდ მეცნიერებთან ივანე ჯავახიშვილთან და პეტრე მელიქიშვილთან ერთად ამ საშვილიშვილო საქმის მოთავენი იყვნენ ს. ქურდიანი, დ. გედევანიშვილი, ი. ლომოური, ს. ჩოლოყაშვილი, კ. ამირაჯიბი, ა. დიდებულიძე, გ. რცხილაძე, გ. გეხტმანი, ი. ჯანდიერი, ჯ. იოსელიანი, კ. მოდებაძე და სხვები.

თბილისის უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტის არსებობის ცხრა წლის მანძილზე ბევრი საგულისხმო და სასარგებლო საქმე გაკეთდა. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი დაამთავრა 1.580 კაცმა, რომელთაგან ბევრი ცნობილი მეცნიერი გამოვიდა. მათ შორის არიან ნ. კეცხოველი, ლ. დეკაპრელევიჩი, ვ. მახალდიანი, დ. აგლაძე, ნ. ლაჭყეპიანი, ი. ჯაში, ი. ბათიაშვილი, ვ. ქანთარია, ი. აბაშიძე, ს. ქარუმიძე. ამავე პლეადას ეკუთვნიან პროფესორები ი. ჩხენკელი, ს. დურმიშიძე, მ. რამიშვილი, ლ. ყანჩაველი, ჰ. ულენტი, თ. დავითაია, ი. ხოხლოვი, ა. მენაღარიშვილი, გ. შხვაცაბაია, მ. ბოკუჩავა, მ. რჩეულიშვილი, ლენინური პრემიის ლაურეატი შ. კერესელიძე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. დალაქიშვილი და ბევრი სხვა, რომლებიც ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან.

და როცა ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ჩვენი სახალხო მეურნეობა და, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობა განვითარების ახალ რელსებზე გადაიყვანეს, როცა სოფლად ლენინური კოოპერატიული გეგმის განხორციელება დაიწყო, მაშინ მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა საკითხი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ. 1929 წელი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების აღორძინების წელია. ამ წელს თბილისის უნივერსიტეტს გამოეყო აგრონომიული ფაკულტეტი, შეიქმნა ახალი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების კერა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ძნელი და სახელოვანი გზა განვლო. თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე ინსტიტუტს, მის პედაგოგებს, ინსტიტუტის კედლებში აღზრდილ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს სასახელო წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. საკმარისია დავასახელოთ ციფრი 30 ათასი! ეს არის ინსტიტუტის მიერ თავისი არსებობის მანძილზე გამოშვებული სპეციალისტების საამაყო რიცხვი.

საქართველოს რომელ კუთხეში, რაიონში, სოფელში, რესპუბლიკის გარეთ არ შეხვდებით ამ ინსტიტუტში აღზრდილ სპეციალისტებს. ისინი მშობლიურ ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას, ენერგიას ახმარენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის მეტად საპატიო საქმეს. გარდა ამისა, ინსტიტუტის აღზრდილები სახელოვნად შრომობენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირულ თუ პროფკავშირულ ხელმძღვანელ პოსტებზე. აქ აღზრდილი და მეცნიერების მწვერვალებს დაუფლებული მუშაკები შემოქმედებითად მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს, საშუალო და სპეციალურ სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა თუ სადგურებში. ინსტიტუტში სწავლა-აღზრდის საქმის ჩინებულად დაყენებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კურსდამთავრებულთაგან ასზე მეტს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი და საპატიო წოდება მიენიჭა. აქ დავასახელებთ ერთ ნაწილს — ვანო ფუტურიძეს, არჩილ უთიაშვილს, გივი წითლიძეს, რევაზ ბზიშვილს, ალექსანდრე კუტალიას, ანტიფო ჰეჟიას, ნიკიფორე სარჯველაძეს, დიმიტრი მამისაშვილს, მამია დოჩიას, მიხეილ დოლაბერიძეს, ბეჟან ფალავანდიშვილს, ვახტანგ მირიანაშვილს, არსენ კობაიძეს, მიხეილ ჰანუყვაძეს, დ. მუავიას, ს. ჰანკურიძეს, მეჩაიეებს ვინარი სხულუხიას, კლავდია ნაცვალაძეს, დალი წივწივაძეს.

ინსტიტუტის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი იყო 1946 წელი. ომის ქარცეცხლგამოვლილმა მეცნიერმა მუშაკებმა, სტუდენტებმა ინსტიტუტის აუდიტორიებსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში მთელი ძალით გაჩაღეს შემოქმედებითი საქმიანობა. უკვე დიდი ტრადიციების მქონე ინსტიტუტი დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები. ეს იყო ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი შეფასება, გაწეული შრომის დიდი აღიარება. ამის შემდეგ ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, მთელმა კოლექტივმა გაორკეცებული ენერგიით დაიწყეს შრომა.

მას შემდეგ კიდევ საუკუნის მეოთხედი გავიდა, და დღეს ვზეიმობთ სახელოვანი ტრადიციების მქონე ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლების დიდი და საპატიო შრომა, რომელიც მათ მოახმარეს სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის საქმეს. პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ინსტიტუტის ფუძემდებლები და მისი პირველი რექტორი ვასილ კანდელაკი, შემდეგი პერიოდის რექტორები კონსტანტინე ამირაჯიბი, ვლადიმერ ცაგარელი, ანდრია ბუაჩიძე, ნიკოლოზ გელაშვილი, ბიძინა იაკობაშვილი, გიორგი ურუშაძე, კონსტანტინე თარგამაძე და ამჟამინდელი რექტორი ივანე სარიშვილი.

ახალ, დიდებულ შენობათა კომპლექსში, რომელიც არც თუ ისე დიდი ხანია აშენდა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწავლა-აღზრდა, მეცნიერ მუშაკთა დაოსტატება კვლავ ჩვეული ენთუზიაზმითა და გატაცებით მიმდინარეობს. ვუსურვოთ ჩვენს იუბილარ ინსტიტუტს, მის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს კვლავაც მაღლა ეჭიროთ ის დროშა, რომელიც მეცნიერების, ცოდნის დაუფლებაში ნახევარი საუკუნეა წინ მიუძღვის. დაე მათ კვლავაც ახსენონ ქართული აგრონომიული აზრი და იშრომონ ისე, როგორც ჩვენს დიდებულ დროს შეეფერება.

სურათზე: მეცადინეობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიურ ლაბორატორიაში. წინა პლანზე — აგრონომიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები მ. კიტოვანი (მარცხნივ) და ზ. ბალიაშვილი.

სურათზე: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკული მეცადინეობისას სასწავლო პოლიგონზე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

მოლოცვები ყოველი მხრიდან

ულიანოვსკი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სამშობლო ქალაქ ულიანოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პედაგოგები, სტუდენტები გულითადად ულოცავენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს 50 წლისთავის იუბილეს. ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ და ჯანმრთელობას.

ინსტიტუტის რექტორი ბელოვი.

ლვოვი

ლვოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთელი კოლექტივი ულოცავს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ღირსშესანიშნავ თარიღს — დაარსების 50 წლისთავს. გისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებას საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში.

ინსტიტუტის რექტორი გონჩარი.

მინსკი

ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები გულითადად ულოცავენ შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთელ კოლექტივს ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს და უსურვებენ დიდ შემოქმედებით წარმატებას სოციალისტური სოფლის მეურნეობის კადრების მომზადებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში.

ინსტიტუტის რექტორატი, პარტკომი, ადგილკომი,

მიესალმებიან ინსტიტუტის აღზრდილები

ჩემს ცხოვრებაში თუ კი რამ კარგი შევითვისე, ეს იუბილარი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა სიკეთისა და შემოქმედებითი შრომის შედეგია, მათ მიერ ცოდნის კარის გაღების, აგრონომიული ცოდნის დაუშურებლად გადმოცემის წყალობაა. ჩემს აღმზრდელებს პირობას ვაძლევ, რომ კვლავაც ენერგიას არ დავზოგავ, რათა ვიყო მათი ღირსეული მოწაფე.

მადლობა, მადლობა და კიდევ მადლობა!

გ. წითლიძე,
მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

სამმაგ სიამაყეს განვიცდი დღეს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეს. პირველი, რაც მთავარია, ამ ინსტიტუტის კედლებში დაბადებულ აგრონომიულ აზრს, მეცნიერების მიღწევებს ჩვენი მშრომელები წარმატებით იყენებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად; მეორე ის არის, რომ ჩვენი კოლმეურნეობის სპეციალისტები ამ ინსტიტუტში დაეუფლნენ ცოდნას, რომელსაც წარმოებაში იყენებენ. მესამე ის, რომ მეც და ჩემმა ვაჟიშვილმაც უმაღლესი განათლება იუბილარ ინსტიტუტში მივიღეთ.

ყოველივე ამისათვის ჩვენი ალალი მადლობა და კეთილი სურვილები ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს, ხანგრძლივი სიცოცხლე მათ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ა. კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

იუბილარი ინსტიტუტი

პროფ. ი. სარიშვილი,
შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი საბჭოთა ხელისუფლების თანატოლია. ამიტომ, ბუნებრივია, მიღწევები, რაც განვლილი 50 წლის მანძილზე მოიპოვა ინსტიტუტმა, შედეგია იმ დიდი მზრუნველობისა და დახმარებისა, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა გვიწევენ.

იუბილარი ინსტიტუტის ზეიმი მთელი ქართველი ხალხის ზეიმია. ამან განსაკუთრებით დიდი სიხარული გამოიწვია სოფლის მეურნეობის მშრომელებში, რის გამო ჩვენი ინსტიტუტის საიუბილეო თარიღი სპეციალურად აღინიშნა რესპუბლიკის მრავალ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თავის არსებობას იწყებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გარიჟრაჟზე. მისი დაფუძნების თარიღია 1921 წლის 30 სექტემბერი, როდესაც განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილების საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიული ფაკულტეტი ჩამოყალიბდა.

ივანე ჯავახიშვილთან და პეტრე მელიქიშვილთან ერთად ქართული უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ფუძემდებლები არიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სოლომონ ქურდიანი, დიმიტრი გედევანიშვილი, იულონ ლომოური, სოლომონ ჩოლოყაშვილი, კონსტანტინე ამირაჯიბი, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი გეხტმანი, გიორგი რცხილაძე, ანდრია ბენაშვილი, ნიკოლოზ იოსელიანი, მიხეილ შალამბერიძე, კონსტანტინე მოდებაძე, ილია ჯანდიერი, მიხეილ ფარცვანიძე, შალვა ცქიტიშვილი, ვასილ კანდელაკი და სხვები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა, გამოცდილება, მთელი ძალ-ღონე შეალიეს ქართული სასოფლო-სამეურნეო განათლების აღორძინებასა და განმტკიცებას.

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო აგრონომიული ფაკულტეტი და მის ბაზაზე შეიქმნა ჩვენი ინსტიტუტი. ახლად დაარსებულ ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა მემინდვრეობის ფაკულტეტი მექანიზაციის განყოფილებით, მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი სუბტროპიკული განყოფილებით, ზოოტექნიკური ფაკულტეტი მეაბრეშუმეობის განყოფილებით და კოლექტიური მიწათმოქმედების ფაკულტეტი.

ეს ის დრო იყო, როდესაც პარტია არსებითად შეუდგა ლენინის კოოპერატიული გეგმის განხორციელებას და სოფლად დაიწყო დიდი სოციალური გარდაქმნები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების როგორც ორგანიზაციულ, ისე აკადემიურ მხარესა და პროფილებზე. სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასმული ამოცანები კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდნენ ინსტიტუტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებში.

ომის მძიმე წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მთელი საქმიანობა სამხედრო ყაიდაზე გარდაიქმნა. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის! — აი რა იყო მაშინ ჩვენი მთავარი და გადაუდებელი ამოცანა.

ომისშემდგომ პერიოდში სწრაფი ტემპით დაიწყო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება, ფაკულტეტებზე, კათედრებზე, საწარმოო პრაქტიკას ბაზებში და ინსტიტუტის ყველა უბანზე ფართოდ გაიშალა მუშაობა. 1946 წლის სექტემბერში აღინიშნა ჩვენი ინსტიტუტის იუბილე მისი არსებობის 25 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. ამ დროისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი უკვე დიდი ტრადიციების მქონე მძლავრ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებელს წარმოადგენდა, რომელიც საკმაოდ იყო უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური პროფესორ-პედაგოგიური ძალებით და დამხმარე სასწავლო პერსონალით, მრავალპროფილიანი ფაკულტეტებით, კათედრებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით და სხვა დამხმარე საშუალებებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ საიუბილეო საზეიმო დღისათვის ინსტიტუტს გამოშვებული ჰყავდა 8.740 კურსდამთავრებული, რაც იმ დროს წარმოადგენდა მძლავრ ძალას სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა აგრეთვე ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლების დიდი ჯგუფი. პარტიისა და მთავრობის ასეთმა მზრუნველობამ კიდევ მეტად აღაფრთოვანა და შრომაში წაახალისა ინსტიტუტის მთელი კოლექტივი.

1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობიდან აგრონომიული ფაკულტეტის გადასვლა ყოფილ სასულიერო სასწავლებლის შენობაში (ვაკე), რომელშიც შემდეგ თითქმის მთელი 40 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დიდ მოვლენას წარმოადგენდა. აღნიშნული შენობა გარშემო მდებარე მიწებით მაქსიმალურად გამოიყენა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა. აქ აღიზარდა სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მრავალი თაობა.

მაგრამ შემდეგში ეს შენობა და მის გარშემო მდებარე მიწები საკმარისი აღარ იყო იმ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რასაც დღეს ცხოვრება უყენებს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს. ამიტომ გადაწყდა ინსტიტუტის დიღომის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში გადატანა და მისი საწარმოო ბაზაზე მოწყობა.

ჩვენმა ინსტიტუტმა დიღომში ახალმოსახლეობა 1967 წელს იზეიმა. ეს ჩინებული შენობა მნახველის ყურადღებას იქცევს. კეთილმოწყობილია ლაბორატორიები, რომლებიც შევსებული და გამდიდრებულია უახლესი ტექნიკით, მუზეუმები. სატყეო ფაკულტეტთან არსებულ დენდროლოგიურ მუზეუმში უნიკალური კოლექციებია. დიდი მუშაობა წარმოებს ინსტიტუტის გარშემო დენდროპარკის გასაშენებლად.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი წარმოადგენს როგორც სასწავლო, ისე მძლავრ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას, აქ სამეცნიერო კვლევის დარგში მუშავდება დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. როგორც ცნობილია, გამოჩენილმა ქართველმა აგრონომ-ინჟინერმა, პროფესორმა კონსტანტინე ამირაჯიბმა პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძესთან ერთად ამ ინსტიტუტში შექმნა პირველი ელექტროტრაქტორი, აქვე ჩაეყარა საფუძველი სოფლის მეურნეობის ქართველ მექანიზატორთა სკოლას.

ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე აკადემიკოსებმა რაფიელ დვალმა, ვახტანგ მახალდიანმა და ივანე ხოხლოვმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი შხვაცაბაიამ, პროფესორებმა მიტროფანე ბუზუშვილმა, დიმიტრი ციციშვილმა და სხვებმა თავიანთ კოლეგებთან და თანამშრომლებთან ერთად, საბჭოთა კავშირში პირველებმა აქ ჩაუყარეს საფუძველი მთაგორიან ადგილებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობის შესწავლას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ლეონარდ დეკაპრელევიჩის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის სელექციის კათედრის თანამშრომლებმა გამოიყვანეს ახალი, უხვმოსავლიანი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ხორბლის, სიმინდის, ლობიოს, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების ჯიშები, რომელთაგან ბევრი უკვე დანერგილია სოფლის მეურნეობის წარმოებაში. პროფესორ დეკაპრელევიჩის გამოკვლევებმა იმის შესახებ, რომ საქართველო ხორბლის უძველესი სამშობლოა, საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც საბჭოურ, ისე საზღვარგარეთის მეცნიერებაში.

ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის თანამშრომლებმა, რომელსაც სათავეში უდგანან კათედრის გამგე პროფესორი ვალერიან ქანთარია და კათედრის პროფესორი მაქსიმე რამიშვილი, გამოიყვანეს და წარმოებას გადასცეს დასანერგავად ყურძნის ახალი ჯიშები „თბილისური", „მუსკატური რქაწითელი" და სხვები.

ინსტიტუტის აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრების თანამშრომლებმა პირობებში პირველად დანერგეს პრაქტიკაში ნიადაგში სასუქების დიფერენცირებულად შეტანის წესები აგროქიმიური კარტოგრამების საფუძველზე, რამაც გამოიწვია სასუქების დაზოგვა, მუშახელის საჭიროების შემცირება და შრომის ნაყოფიერების საგრძნობლად გადიდება, ამის შედეგად რესპუბლიკაში შექმნილია სამი ზონალური აგროქიმიური ლაბორატორია და ასამდე აგროქიმიური ლაბორატორია მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე თბილისში საკავშირო აგროქიმიური სამსახურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალი, რომელთა ამოცანას შეადგენს დახმარება და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ ჩვენი სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის შემდგომ განვითარებას. აგროქიმიის კათედრაზე ჩატარებული მუშაობიდან აღსანიშნავია აგრეთვე პროფესორ ათინოგენ მენაღარიშვილის გამოკვლევები ტორფის სასუქად გამოყენების საქმეში და პროფესორ ილია ნაკაიძის მიერ ვაზის ქლოროზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ლეონიდე კალანდაძის, პროფესორების ირაკლი ბათიაშვილის, სიკო ქარუმიძის და გიორგი ყანჩაველის ხელმძღვანელობით შესწავლილია კულტურულ მცენარეთა მავნებლები და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებანი. პროფესორ ლეონიდე კალანდაძის სახელთან დიდად დაკავშირებულია საქართველოში გავრცელებული მავნე მწერის — კოლოს მოსპობა.

ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა მიხეილ საბაშვილმა, წევრ-კორესპონდენტებმა დიმიტრი გედევანიშვილმა და მიხეილ დარასელიამ, პროფესორებმა გაბრიელ ტალახაძემ, გიორგი ტარასაშვილმა, ირაკლი ანჯაფარიძემ, ვალენტინა ლატარიამ და სხვებმა საფუძვლიანად შეისწავლეს საქართველოს ნიადაგები და მათი გენეზისის აგროსაწარმოო თვისებები, რის შედეგებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოში კულტურათა განლაგების, სპეციალიზაციისა და დიფერენცირებული აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავების საქმეში.

ეკონომიკა-ორგანიზაციის კათედრაზე პროფესორების ივანე ჯაშის, ნიკოლოზ ლაჭყეპიანის და პეტრე ელენტის ხელმძღვანელობით დამუშავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხები, რომლებიც დიდ გამოყენებას პოულობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კულტურათა სპეციალიზაცია-განლაგების საქმეში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ხვდება ყოველმხრივ გაძლიერებული და დიდი წარმატებებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი 1921-1929 წლებში უშვებდა სპეციალისტებს სოფლის მეურნეობის ორ დარგში და მას ჰქონდა 15 კათედრა, რამდენიმე აუდიტორია და კაბინეტ-ლაბორატორია.

სულ სხვა სურათია ამჟამად, ინსტიტუტში დღეისათვის მოქმედებს 54 კათედრა და 8 ფაკულტეტი. ინსტიტუტი უშვებს სპეციალისტებს 14 ისეთ სპეციალობებში, როგორიცაა: აგრონომიული, აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა დაცვა, აგრომელიორაცია, მეხილეობა, მევენახეობა და მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, მეღვინეობის ტექნოლოგია, საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია, სატყეო მეურნეობა და ჰიდრომელიორაცია.

თუ უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მთლიანი შტატი შედგებოდა 28 კაცისაგან და მათ შორის 4 პროფესორი იყო, ამჟამად ინსტიტუტის შტატში ირიცხება 1.000-მდე თანამშრომელი, მათ შორის 5 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 45 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 125 დოცენტი, 53 უფროსი მასწავლებელი, 32 ასისტენტი და სხვ. პროფესორთა თითქმის მთელ შემადგენლობას მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ინსტიტუტში აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს, რომლებიც შეიქმნა ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. დღემდე მას ჩატარებული აქვს 40 სამეცნიერო კონფერენცია, რომლებზეც მოსმენილია 2.600-ზე მეტი მოხსენება.

1921 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობდა 114 სტუდენტი, ხოლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მისი დამოუკიდებლად ჩამოყალიბების წინ, ირიცხებოდა 1.666 სტუდენტი. ამჟამად კი ჩვენს ინსტიტუტში დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე სწავლობს 6.147 სტუდენტი.

საქართველოში არ არის კუთხე, სადაც ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებული არ მუშაობდეს ხელმძღვანელ და რიგით თანამდებობებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ყველა სამუშაოს მაორგანიზებელი და სულისჩამდგმელნი ძირითადად არიან საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი.

ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო ვასილ კანდელაკი, შემდეგ კი კონსტანტინე ამირაჯიბი, ვლადიმერ ცაგარელი, ანდრია ბუაჩიძე, ნიკოლოზ გელაშვილი, ბიძინა იაკობაშვილი, გიორგი ურუშაძე, კონსტანტინე თარგამაძე.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც დიდი შეფასება მიიღო ჩვენი პარტიისა და მთავრობისაგან და რომლის შრომამ აღიარება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში, დიდ აღფრთოვანებასა და კმაყოფილებას განიცდის. პირობას ვაძლევთ პარტიას, მთავრობას, ჩვენს ხალხს, რომ ყველაფერს გავაკეთებთ შემდგომში ჩვენი სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური კადრების, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ახალი ტიპის ადამიანების აღზრდისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.



50 წლის ფოტოსურათი მოგვითხრობს

აგრონომიული ფაკულტეტის პირველი გამოშვება

საინტერესოა, ვიცოდეთ, თუ ვინ იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი სტუდენტები და მათი პირველი ლექტორები. ამაზე ნათელ პასუხს იძლევა წინამდებარე სურათი. იგი გადაღებულია 1922 წელს, უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველ გამოშვებასთან დაკავშირებით.

ამ სურათზე (პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ) თქვენ ხედავთ კურსდამთავრებულებს **ლეონიდე კალანდაძეს** — შემდეგში ცნობილ პროფესორს, ჩვენს ინსტიტუტში ზოგადი ენტომოლოგიის კათედრის ფუძემდებელსა და გარდაცვალებამდე მის უცვლელ ხელმძღვანელს. მას გამოქვეყნებული აქვს 140-მდე მეცნიერული ნაშრომი ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. **ნიკოლოზ კეჩხუაშვილი** (სპეციალისტი მეხილეობის დარგში).

მეორე რიგში სურათზე აღბეჭდილი არიან **გიორგი გაბრიჩიძე** (სპეციალისტი მეტყევეობის დარგში, ამჟამად ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერი მუშაკი), **კუკური ჟვანიძე** (მეცნიერი მუშაკი მეაბრეშუმეობაში), **ლიდა მირიანაშვილი** (მეცნიერი მუშაკი მეაბრეშუმეობაში), **ქეთევან ქომეთიანი** (მეცნიერი მუშაკი მეთესლეობაში, ამჟამად პენსიონერი), **ლუდმილა წერეთელი** (მცენარეთა დაცვის გამოჩენილი მეცნიერი, ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი პროფესორი), **მარიამ ვაჩნაძე** (მიკრობიოლოგი), **ლუბა მეტონიძე** (მეცნიერი მუშაკი, სტატისტიკოსი), **გიორგი მგალობლიშვილი**.

მესამე რიგში: პროფესორ-მასწავლებლები — ლექტორი **სილვესტრო ფილატოვი** (მეღვინეობაში), დოც. **სოლომონ ჩოლოყაშვილი** (მევენახეობაში), დოც. **იულონ ლომოური**, (კერძო მიწათმოქმედებაში), დოც. **გრიგოლ ქურდიანი** (საინჟინრო ხელოვნებაში), პროფ. **ანდრია ბენაშვილი** (გეოდეზიაში), პროფ. **ივანე ჯავახიშვილი** (უნივერსიტეტის რექტორი), პროფ. **პეტრე მელიქიშვილი**, **ს. ქურდიანი** (პროფ. მეტყევეობაში), **გიორგი გეხტმანი** (სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში), დოც. **მიხეილ ფარცვანიძე** (ვეტერინარიაში).

მეოთხე რიგში: კურსდამთავრებული **ვარლამ ლეშქაშვილი** (სპეციალისტი საგეგმო ეკონომიკის დარგში). დოც. **ალექსანდრე თამამშევი** (მეცხოველეობაში, შემდეგში სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი), **ილია ზაქტრეგერი** (მეტყევეობაში), პროფ. **ადოლფ როლოვი** (მებაღეობაში), ასისტენტები: **აკაკი ნაფეტვარიძე** (მეტეოროლოგიაში), **ნინო ციციშვილი** (ორგანულ ქიმიაში, შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), **მელქისედეგ ბექაია** (აგრონომიულ ქიმიაში), **გიორგი რცხილაძე** (ზოგად მიწათმოქმედებაში), კურსდამთავრებულები: **ანდრია ხუბუტია** (შემდეგში ლექტორი სოფლის მეურნეობის ეკონომიკა-ორგანიზაციაში) და **ივანე ჩხენკელი** (პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე).

ეს არის თითქმის სრული სია სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი გამოშვების და მისი ლექტორებისა.

გრ. თოდუა.

მოუარე, დაამშვენე შენი ქალაქი, შენი სოფელი, კარმიდამო

ო რ ი ე ზ ო

ჩვენში ადამიანის დახასიათებლად უყვართ ასეთი გამოთქმა: მის ეზო-გარემოში გადახედვას არაფერი სჯობსო, და ეს მცირე ქება როდია. ამ ერთ ფრაზაში ნაგულისხმევია, რომ ის, ვისზეც ამას ამბობენ, დიდად მშრომელი და მუყაითი, წესრიგისა და სისუფთავის მოყვარული კაცია.

და მართლაც არაფერი ისე მკვეთრად არ გამოხატავს ქართველი გლეხკაცის გემოვნებას, ხასიათსა და ბუნებას, როგორც მისი კარმიდამო.

ჩვენებურ სოფელში რამდენიც კომლია, იმდენი სხვადასხვანაირი ეზო და სახლია, და ეს მრავალფეროვნება ისე შვენის სოფელს, როგორც ნაირ-ნაირი ღიმილი სხვადასხვა ადამიანის სახეს და იერს.

ქალაქში ცოტა სხვანაირად არის. ქალაქის სახეს ქუჩა, არქიტექტურული ნაგებობათა მთლიანობა ქმნის, ეზო კი მეორე პლანზეა. მაგრამ აქაც, თვით ყველაზე დიდ ქალაქშიც კი ეზო ერთი შეხედვითვე მიგვანიშნებს მობინადრეთა ავ-კარგზე.

თბილისში პეკინის ქ. № 39 მდებარე სახლის ეზოში რომ შეხვალთ, გული გაგინათდებათ, დასასვენებელ პარკს ჰგავს აქაურობა: ხეივნები, ყვავილნარები, შადრევანი, სპორტული მოედანი — არაფერი ამ ეზოს არ აკლია. სისუფთავესა და წესრიგს ხომ ნუ იტყვით: ერთ ნაგლეჯ ქაღალდს, პაპიროსის ნამწვს ვერ ნახავთ აქ უადგილოდ დაგდებულს. და ყველაფერი ეს თვით მობინადრეთა თაოსნობითა და შეცადინეობით გაკეთდა ამ ათ წელიწადში. ახლა კი მთელი ეს სიკეთე თვით მათ ანიჭებს სიამოვნებას. რა სჯობს ზაფხულის ცხელ დღეებში აქ ჩრდილში მოჩუხჩუხე შადრევანთან დაჯდომას და დასვენებას. ამ უბანში ახლომახლო პარკი არ არის და აქ ხშირად ნახავთ დასასვენებლად სხვა სახლებიდან „შემოპარულებსაც". განსაკუთრებით მოთამაშე ბავშვების მეთვალყურე მოხუცები ეტანებიან ამ მყუდრო ეზოს.

„ეჰ, ჩვენი ეზო კი რასა ჰგავს", — გულდაწყვეტილი გაიფიქრებენ ალბათ ამ სტრიქონების წაკითხვისას ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე № 23 სახლის მცხოვრებნი და ნაღვლიანად გადახედავენ ფანჯრიდან სახლის გასწვრივ დატოვებულ საკმაოდ ვრცელ მოედანს, რომელსაც ეზო არც ეთქმის. არცა ჰგავს ეზოს, ისეა ალაფებული და გაპარტახებული აქაურობა. სადღაა აქ ის სიმყუდროვე, სისუფთავე და წესრიგი, ეზოს რომ შეშვენის და შინიდან გარეთ, სუფთა ჰაერზე დასასვენებლად რომ იზიდავს დღიური შრომით დაღალულ კაცს.

ეზოდ წოდებული შემოუკავებიათ. მოედანი პირდაპირ ერთვის ქუჩას. არც გაზონები, არც ყვავილნარი, ამ რამდენიმე წლის წინათ დარგული ხე მოუვლელობით ისე დაკნინებულა და დაბეჩავებულა, ალბათ ვერც ვერასოდეს აიყრის ტანს. დასასვენებლად და ბავშვების სათამაშოდ ეს ეზო გამოუსადეგარია. სამაგიეროდ ზოგიერთი მობინადრე მას სამეურნეო დანიშნულებით იყენებს, აქ აყენებენ მანქანებს, ყრიან ბინის რემონტისათვის საჭირო სამშენებლო მასალას და ზოგი მობინადრე ქათმებსა და გოჭებსაც კი აბამს და ასუქებს ეზოში. უპატრონო ეკლესია რომ ნახეს, ამას წინათ მშენებლებმა საიდანღაც მსხვილი მილები მოზიდეს და სწორედ ამ ეზოში დააწყეს.

ჭუჭყითა და ნაგვით არის სავსე თვით სახლის სადარბაზოები და გამოუყენებელი, გაუქმებული სარდაფები, საიდანაც შმორის სუნი ამოდის.

ოთხმოცზე მეტი ოჯახი ცხოვრობს ამ სახლში. სათითაოდ, ვისაც უნდა ჰკითხო, თვითონ უნაკლო და წესიერი მობინადრეა, ყველა სახლმმართველობას და უწესო მეზობლებს აბრალებს ყველაფერს, სახლმმართველობაში მობინადრეებს იხსენიებენ აუგად. ეზო კი წლობით მოუვლელი და გაპარტახებულია. საბოლოოდ დაზარალებული მობინადრენი რჩებიან. განსაკუთრებით პატარები არიან ცოდვა. სად ითამაშონ, სად ჩამოსხდნენ, სად შეხვდნენ ერთმანეთს!

და ნუთუ ამ ბავშვების მშობლებს ასე გაუძნელდებათ რამდენიმე ათეული კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის ისე მოვლა და მოწყობა, რომ ის ეზოს დაემსგავსოს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პატარებს ღია ცის ქვეშ, ჩრდილში, სუფთა ჰაერზე ეთამაშათ მშობლების თვალწინ.

ჩვენ აქ სანიმუშოდ პეკინის ქ. № 39 ეზოს მაგალითი მოვიყვანეთ. მაგრამ ვაჟა-ფშაველას № 23 სახლის მცხოვრებთ პეკინის ქუჩა იქნებ ცოტა მოშორებით მოეჩვენოთ, მაშინ იქვე, გვერდით, ვაჟა-ფშაველას № 27 სახლის ეზოში შეიხედონ და ნახონ, როგორ უნდა მოვლა-პატრონობა ეზოს.

მ. გორდაძე.

რედაქციისაგან: ეზოს კეთილმოწყობისათვის ზრუნვა წვრილმანი საქმე როდია: შენი ეზოს სიკეთე და სილამაზე ხომ მთელი ქალაქის, მთელი სოფლის სიკეთეს და სილამაზეს შეერთვის და შეემატება.

თუ ნამდვილი მოქალაქე და მამულიშვილი ხარ, შენი ქალაქის, შენი სოფლის კეთილმოწყობისათვის ზრუნვა შენს მოვალეობად უნდა მიგაჩნდეს და უნდა ეცადო შენს ეზოს, ქუჩას, უბანს ერთი-ორი ძირი ხე მაინც შემატო. ხოლო ის, ვისაც გული არ შესტკივა, ვინც უდიერად, ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს, უნდა გაკიცხო და შეარცხვინო.

ძვირფასო მკითხველებო!

მოგვწერეთ კარგ ეზოებსა და მათს მობინადრეებზე, ნურც ნაკლოვანებათა მხილებას მოერიდებით: მოგვწერეთ იმათზე, ვინც არღვევს საზოგადოების საერთო ცხოვრების წესებს, ანაგვიანებს ეზოს და ქუჩას, არ უფრთხილდება; აფუჭებს ნარგავებს.

„მოუარე და დაამშვენე შენი ქალაქი, შენი სოფელი, შენი ეზო და კარმიდამო, — ასეთი აზრი უნდა ედოს საფუძვლად თითოეულ თქვენს სიგნალსა და კორესპონდენციას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აღჭურვილია მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აქ არის ნათელი აუდიტორიები, ლაბორატორიები, მუზეუმები, სასწავლო პოლიგონები, სადაც განლაგებულია უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ინსტიტუტთან არსებობს სახალხო თეატრი, მუშაობენ სხვადასხვა წრეები. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი ხალხური ცეკვის ანსამბლი „გორდა".

სურათზე: ინსტიტუტის სტუდენტები, ანსამბლ „გორდას" მონაწილენი. მარცხნიდან პირველ რიგში — თეიმურაზ ხოზაშვილი, ნინო ომანიძე, ლია სიხარულიძე; მეორე რიგში — მედეა ნაზარაშვილი, გიორგი ჩაჩავა, დალი ჯაბურია, არჩილ ბაბუხადია.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

შეკითხვა: მეუღლეს, რომელმაც თავისი ინიციატივით ოჯახიდან წაიყვანა სამი მცირეწლოვანი შვილი და არ მაძლევს მათი ნახვის უფლებას, შეუძლია თუ არა მოითხოვოს ბავშვების სარჩენი ალიმენტი?

ა. როგავიძე,
ზესტაფონი.

პასუხი: თუ განქორწინების ან სხვა მიზეზის გამო მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები. უთანხმოების შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო შვილების ინტერესების გათვალისწინებით.

მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, უფლება აქვს ინახულოს შვილი და მონაწილეობა მიიღოს მის აღზრდაში. ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და იძულებითი წესით მოითხოვოს მისი განხორციელება.

არასრულწლოვანი შვილების ერთ-ერთ მშობელთან ცხოვრება არ ათავისუფლებს მეორე მშობელს შვილების რჩენის მოვალეობისაგან.

შეკითხვა: მოქალაქის პირადი საკუთრების სახლში მცხოვრებ მოქალაქეს აქვს თუ არა უფლება, მის მიერ დაქირავებული საცხოვრებელი ფართობი გაუცვალოს იმ პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო სახლში დამქირავებლის უფლებით?

ვ. მუმლაძე,
ქიათურა.

პასუხი: მოქალაქის პირადი საკუთრების სახლში მცხოვრებ დამქირავებელს შეუძლია მის მიერ დაქირავებული საცხოვრებელი ფართობი გაუცვალოს სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში მცხოვრებ დამქირავებელს. ამასთან გაცვლისათვის აუცილებელია საცხოვრებელი სადგომის გამქირავებლის თანხმობა. ორგანიზაციის უარი გაცვლაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასამართლოში, ხოლო სახლის პირადი მესაკუთრის უარი — საბოლოოა და არ შეიძლება მისი გასაჩივრება.

შეკითხვა: მოქალაქეს შეუძლია თუ არა თავისი პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი გაცვალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში საცხოვრებელ ბინაზე?

ვ. შონია,
ოზურგეთი.

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მხოლოდ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს შეუძლია მის მიერ დაქირავებული სადგომი გაუცვალოს სხვა საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთ გადაცემით. დაუშვებელია მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების გაცვლა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საცხოვრებელ ფართობზე.

შეკითხვა: მაქვს უწყვეტი მუშაობის 27 წლის სტაჟი, რა ოდენობით მეკუთვნის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარება?

ნ. დარჩიაშვილი,
რუსთავი.

პასუხი. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პროფესიული კავშირის წევრები არიან და აქვთ რვა წელიწადზე მეტი უწყვეტი მუშაობის სტაჟი, ავადმყოფობის პერიოდში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით ეძლევათ დახმარება ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით.

შეკითხვა: მასწავლებელს, რომელიც გათავისუფლებულია ავადმყოფობის გამო, ენახება თუ არა სამუშაო ადგილი (თანამდებობა)?

მ. თავაძე,
ზესტაფონი.

პასუხი: იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი ავადმყოფობის გამო ოთხი თვის (ზედიზედ) განმავლობაში არ გამოცხადდება სამუშაოზე, ადმინისტრაციას შეუძლია მუშაკი დაითხოვოს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით.

ავადმყოფობის გამო გათავისუფლებულ მუშაკს სამუშაო ადგილი (თანამდებობა) არ ენახება. გამოჯანმრთელების შემდეგ მას შეუძლია საერთო წესით დაიწყოს მუშაობა.

შეკითხვა: შრომის შემნახველ სალაროში გარდაცვლებული მეუღლის სახელზე შეტანილი ანაბარი რა საფუძველზე შეიძლება მიიღოს ცოცხალმა მეუღლემ?

ნ. ხარიძე,
ხაშური.

პასუხი: შრომის შემნახველ სალაროში გარდაცვლებულის სახელზე შეტანილი ანაბრის მიღებისათვის მემკვიდრემ (მეუღლე, შვილები, მშობლები) უნდა წარადგინოს სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ გაცემული მემკვიდრეობის უფლების მოწმობა და შემნახველი სალაროს წიგნაკი. მაგრამ თუ წიგნაკში აღნიშნული გვარი, სახელი და მამის სახელი არ ემთხვევა პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ გვარს, სახელს ან მამის სახელს, დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სახალხო სასამართლოს წიგნაკის გარდაცვალებულის კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ.

შეკითხვა: კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 74 წელი და აქვთ კოლმეურნეობაში მუშაობის 18 წლის სტაჟი, დაენიშნებათ თუ არა მოხუცებულობის პენსია?

ი. ხახიაშვილი,
გარდაბანი.

პასუხი: მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 55 წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 20 წლისა. კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებსაც აქვთ 20 წელზე ნაკლები მუშაობის სტაჟი, მოხუცებულობის პენსია არ დაენიშნებათ.

კოლმეურნეობის წევრ ქალებს, რომლებსაც შეუსრულდათ 61 წელი და აქვთ მუშაობის სტაჟი 15 წელი შეიძლება დაენიშნოს ინვალიდობის პენსია, თუ ისინი კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან ინვალიდებად.

სახალხო ბულგარეთის წინაშე დამსახურებისათვის

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებით საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მთელი რიგი მოღვაწენი დაჯილდოვდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებით. 24 მარტს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში გაიმართა ჯილდოების გადაცემა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებით დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ა. ამბარცუმიანი, აკადემიკოსი კ. ი. სკრიაბინი, კომპოზიტორი დ. დ. შოსტაკოვიჩი, უზბეკეთის სსრ სახალხო პოეტი ზ. ისრაილოვა. (საკდესი).

ამინდი

დღეს, 25 მარტს **თბილისში** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, რომლის სიძლიერე წამში იქნება 5-10 მეტრი, ტემპერატურა დღისით 12-14 გრადუსი სითბო, ღამით ნული გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა მოსალოდნელი, დასავლეთ რაიონებში ნალექი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 9-14 გრადუსი სითბო, ღამით 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, ღამით 6-11 გრადუსი ყინვა.

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში წვიმა, მთებში თოვლი, იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 5-9 გრადუსი სითბო, ღამით ნული-5 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 1 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო, ღამით 5-10 გრადუსი ყინვა.

მ ა ტ ჩ ი ტ ყ ი ბ უ ლ შ ი

დაიწყო უეფას ტურნირი ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებისათვის. გუშინ ტყიბულის „განთიადის" სტადიონზე პირველი შესარჩევი მატჩი. ჰქონდათ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს.

შეხვედრა ძირითადად საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა. პირველ ტაიმში მათ კარის აღების სულ მცირე 3-4 შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენეს.

პირველი ტაიმის შემდეგ ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს — 0:0.

მეორე ნახევარში ორივე გუნდი კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოდა. და აი 76-ე წუთზე საბჭოთა ნაკრებმა წარმატებას მიაღწია. გოლის ავტორი იყო სოლოვიოვი, რომელმაც პლოსკინი შეცვალა. ამ ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი, წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ.

მეტოქეთა მეორე შეხვედრა ბულგარეთში გაიმართება.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში იყვნენ — **რადაევი, ასალბაევი, სტეპანოვი, ბერულავა (გუნდის კაპიტანი), ჟუკოვი, პლოსკინი (სოლოვიოვი), სამუილენკო (დანილენკო), ფარულავა, პუდიშოვი, კლიმოვიჩი, ფედოროვი.**

თამაშს სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი პოლონეთიდან მ. კუსტონი.

ვ. ცირეკიძე,
„კომ." საკ. კორ.

ისტორიაში პირველად

ბელგრადი, 24 მარტი. (საკდესი). სლოვენიის დაბა პლანიცაში დღეს საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი უდიდესი — 160-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში თხილამურებით. შეჯიბრებაში მონაწილეობს 14 ქვეყნის 60-ზე მეტი სპორტსმენი, მათ შორის საბჭოთა მოთხილამურეები.

ჩემპიონატი 28 მარტს დამთავრდება.

არბიტრები დანიშნულია

ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის მსაჯთა კომიტეტის მორიგ სხდომაზე დაამტკიცეს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების არბიტრები, როგორც პირველი, ისე ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის.

იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ნაკრების პირველი მატჩის მთავარი არბიტრი იქნება შვეიცარიელი შერერი, ამ გუნდების მეორე შეხვედრის მსაჯობა დავალებული აქვს იტალიელ ანგონისის. საბჭოთა არბიტრი პ. კაზაკოვი მოემსახურება ტურნირის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის ნაკრებთა შორის.

ემზადებიან პერუელები

პერუს ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ პერუს ნაკრები, რომელსაც წვრთნის უნგრელი სპეციალისტი ლ. ბაროტი, მსოფლიო პირველობისათვის მომზადების პირველ ეტაპზე გამართავს 12 საერთაშორისო შეხვედრას სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან. გარდა სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩისა, რომელიც კიევში შედგება, პერუს გუნდი გამოვა იუგოსლავიაში, ალჟირში, ირანში, მაროკოში, შოტლანდიასა და ჰოლანდიაში. პერუს ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ეძღვნება ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავს.

როგორც ცნობილია, თავის შესარჩევ ჯგუფში პერუს ნაკრებს პაექრობა ექნება ჩილესა და ვენესუელის გუნდებთან. ამ სამხრეთამერიკულ ჯგუფში გამარჯვებული გუნდი მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირის საგზურისათვის იბრძოლებს ევროპის იმ შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებულთან, სადაც გამოდიან სსრ კავშირის, საფრანგეთის და ირლანდიის გუნდები.

რამდენიმე სტრიქონით

● **ციურიხში** გაიმართა ევროპის პოპულარული ტურნირების ნახევარფინალისტთა წილისყრა ფეხბურთში. თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „დინამო" შეხვდება ბერლინის „დინამოს". პირველი მატჩი შედგება 5 აპრილს **ბერლინში,** მეორე — 19 აპრილს **მოსკოვში.**

● **მოსკოვის** სპორტის სასახლეში დამთავრდა პროფკავშირთა მეთხუთმეტე ყრილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეჯიბრება კრივში სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ავსტრიის, ფინეთისა და საფრანგეთის სპორტსმენთა მონაწილეობით. წარმატება ხვდათ პ. განიას (რუმინეთი), ვ. სემიონოვს, ზ. აბასოვს, ა. ვოლკოვს, ი. ტხოროვსკის, დ. კალმიკოვს, ვ. პავლოვს, ვ. კუიმოვს, ა. ბოგდანოვს, ე. გორსტკოვს და ვ. ზაგურსკის (ყველა საბჭოთა კავშირიდან).

● **სსრ კავშირის** პროფკავშირთა ყრილობას მიეძღვნა საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც მოსკოვში გაიმართა. მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი მოსკოველი ე. კარპუხინა უძლიერესი აღმოჩნდა სახტუნაოთ ვარჯიშში. ომსკელმა გ. შუგუროვამ გაიმარჯვა რგოლებით ვარჯიშში. ასტრახანელი ე. ლეონტიევა პირველი იყო ბურთით ვარჯიშში, ხოლო უსაგნოდ ვარჯიშში ყველას აჯობა ა. ზასუხინამ (ასტრახანი). ყველაზე არტისტულ კომპოზიციად აღიარებულ იქნა ლენინგრადელი ნ. ლაშინსკაიას ვარჯიში, ხოლო საზღვარგარეთელი ტანმოვარჯიშეებიდან ბულგარელი ს. კოლჩევსკაიას ვარჯიში.

● **ჰავანაში** დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჭადრაკში, რომელიც მიეძღვნა ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნას.

ჩინებულად განვლეს მთელი ტურნირი საბჭოთა გროსმაისტერებმა ა. ლეინმა და ი. პლატონოვმა. მაგალითად, ლეინმა ცხრა შეხვედრა მოიგო, ათი ყაიმით დაამთავრა და არც ერთი არ წააგო. ი. პლატონოვმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, უნგრელი ზოლტან რიბლი მესამე იყო.

ათასნაირი ამბები

◆

კენალტი გაქვს... ფლეიტისტს

საგასტროლოდ მოგზაურობისათვის რომ ემზადება, შორეული აღმოსავლეთის სიმფონიური ორკესტრის ბევრი მსახიობი მუსიკალურ ინსტრუმენტებთან ერთად გულდაგულ იმზადებს... ფეხბურთელის ფორმასაც. ორკესტრის ათი წლის არსებობის მანძილზე ეს უკვე კარგ ტრადიციად იქცა — კონცერტებს შორის ხანმოკლე დასვენების დროს მოაწყონ სამატჩო შეხვედრები ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდებთან.

ამ შეხვედრებში გუნდი არაერთხელ იხსნა ვირტუოზული ნახტომით უცვლელმა მეკარემ, ორკესტრის ვეტერანმა, ვალტორნისტმა ვლადიმერ რევამ. საუკეთესო თავდამსხმელად — „სიმფონიურ პელედ" ერთსულოვნად არის აღიარებული ფლეიტისტი ვიქტორ ლონჩაკოვი. ხოლო ფეხბურთელთა ანსამბლის მთავარი „სოლისტი" გახდა მომღერალი გენადი სამოშინი.

კვერნა... სკაში

დათვს რომ თაფლი უყვარს და ხშირად მისთვის ხიფათშიც ვარდება ხოლმე, ეს ბავშვებმაც კი იციან. მაგრამ, როგორც ჩანს, ტკბილეულის მსუნაგები ტყის სხვა ბინადრებიც ყოფილან. აი როგორი ამბავი მოხდა მინსკის ოლქის კოპილსკის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრა ლენინას" საფუტკრეში. მიხეილ ბარანოვიჩს გადაუწყვეტია შეემოწმებინა, თუ როგორ გამოიზამთრეს ფუტკრებმა და თოვლში რაღაც ახალი ნაკვალევი შეუმჩნევია. კვალი ტყიდან მოდიოდა და ერთ-ერთ სკასთან წყდებოდა. მეფუტკრეს მის სახურავში ნახვრეტი აღმოუჩენია, რომელიც რომელიღაც ცხოველის ბასრი კბილებით იყო ამოღრღნილი. როცა სკა გაუხსნია, იქ დაუნახავს... კვერნა. იგი უკვე მომკვდარიყო: ფუტკრები არ შერიგებოდნენ მათ ოჯახში მუქთახორის გამოჩენას. (საკდესი).

დისერტაციების დაცვა

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის

სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

4 აპრილს, 12 საათზე **ნანული გრიგოლის ასული თოდუა** ბიოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრებზე გავრცელებული მატყლის დამნაგვიანებელი მცენარეები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები".**

რევაზ გიორგის-ძე კარაწაშვილი ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„მიწის ფონდების რაციონალური გამოყენების საკითხები გურჯაანის რაიონში".**

სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

25 მარტი

პირველი პროგრამით

09.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.15 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 12.15 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" (პირველი სერია, ქართულ ენაზე), 13.15 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 13.55 — ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობის დელეგატები (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.05 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი" (მეთვრამეტე სერია), 15.00 — „ჯადოსნური ეკრანი", 15.25 — ქართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 16.10 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის თასზე. „დინამო" თბილისი — ლვოვი „კარპატი" (მეორე ტაიმი), 16.45 — „შევისწავლოთ ავტომობილი", 17.10 — სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხები ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.40 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.20 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 18.50 — გადაცემა „ინსტიტუტის იუბილე", 19.20 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ღიმილის საათი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — ბალეტის საღამო, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევიზიო დადგმა „შავი მაკლერი".

მეორე პროგრამით

18.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ხაზვაში, 19.20 — ქართული მხატვრული ფილმი „მე ვხედავ მზეს".

26 მარტი

პირველი პროგრამით

09.30 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია" (მეორე სერია, ქართულ ენაზე), 12.30 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 13.15 — აბიტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 14.00 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი" (მეცხრამეტე სერია), 15.05 — ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის პროფკავშირების XV ყრილობის დელეგატები (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „30 წუთი კინოს მოყვარულთათვის", 15.45 — ფერადი ტელევიზია. „რუსული ხელოვნების საგანძური (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.10 — „კინო აფიშა", 16.30 — „სსრკ-50" — „თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში", 16.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 18.00 — ფერადი ტელევიზია. „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ადამიანი და სამყარო", 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მულტპანორამა". ნახატი ფილმი „ზემბი", 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „სიცილის ოსტატთა პორტრეტები" — ალექსანდრე ჟორჟოლიანი, 21.40 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.20 — „სსრკ-50" — კონცერტი „ჩვენი ქვეყნის მელოდიები", 23.00 — „სამორინე", 23.35 — სპორტული პროგრამა.

მეორე პროგრამით

19.20 — „სსრკ-50" — „ჩვენი სამეგობრო ნობათი", 20.00 — კონცერტი, 20.30 — კინონარკვევი, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „მხოლოდ ერთი თვე".

წაუკითხეთ თქვენს პატარებს

◆

მალხაზ-ბიჭი

— გამარჯობა, მალხაზო,
როგორა ხარ დღეს?
— ახლა არა მიშავს რა,
ყოველდღე ვსვამ რძეს!



მ შ ი შ ა რ ა

— გოგო, წამო, წავიდეთ
ბატებისკენ ჭალაში.
— მე ბატებთან რა მინდა,
ბავშვებთან მსურს თამაში...
— გეშინია ბატების —
ყოჩაღი ხარ ჭამაში!

ზღარბი და კურდღელი

— ცანცალ, საით მიდიხარ?
— აგერ, ახლოს ბაღჩაში...
— როგორ გამოწყობილხარ
ჭრელაჭრულა ფარჩაში,
კაბა არ დაიხიო...
— განა ისე გლახა ვარ!
— სჯობს გაბრუნდე... იმ
ბაღჩის
დარაჯი მე გახლავარ!

კახა და ლალი

— წერა-კითხვა არ იცი,
არც თვლა იცი, კახა?
— კამფეტები მომეცი,
თუ ვერ დავთვლი, ნახავ!



მეგობრები

— წამო, დავრგოთ ხილი.
— კბილი მტკივა, კბილი.
— წამოიღე ბარი...
— მეტკინება მხარი.
— მოგეხმარებიო,
ხომ მომეცი სიტყვა?
სხვისი მორთმეული
ხომ ძალიან გიყვარს?!
გაიზრდება ნერგი,
ჩრდილში ჰილობს გაშლა,
არ გაბედო მაშინ,
მაჭამეო ვაშლი!

ნუგზარი და ფუტკარი

— ეს მითხარი ფუტკარო,
სად დაფრინავ დილ-დილით?
— შენთვის, ჩემო ნუგზარო,
თაფლი მომაქვს ტკბილ-
ტკბილი.

ჭ ო რ ი კ ა ნ ა

ხეზე შეჯდა კაჭკაჭი,
მოიყვანა გვრიტი;
— ხომ გაიგე, რა მოხდა?
რომ შემოწვა ბინდი...
შეარხია ტოტები,
ახმიანდა მუხა,
დაიძახა: — კაჭკაჭო,
ჭორიკანა ნუ ხარ!

თ ხ უ პ ნ ი ა და მ უ რ ი კ ე ლ ა

— რას აკეთებ გოჭუნა,
რატომ წევხარ ტალახში?
აქ ამოდი, გაგორდი
მოხასხასე ბალახში.
მოდი, მოდი, საქმე მაქვს,
აქ გიამბობ დანარჩენს.
— რა ვქნა, უნდა მივხედო,
დედაჩემს და მამაჩემს!

კუკური გოგიაშვილი

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02586 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.